ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



გვ.4

ლაზარე გრიგორიადისს მამის დაჭრის გამო 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

## ინცესტში მხილებული კაცი ცოლს მეორე შვილით აშანტაჟებს



გვ.3

სამშაბათი, 26 სექტემბერი, 2023 №189 (9225) ფასი: 80 თეთრი

# „ნაციონალური მოძრაობა იშლება!“




გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „თუ ეროვნული ბანკის მმართველი არ არის დამოუკიდებელი ფიგურა, ეს არის ტრაგედია“



„მელიაც და გვარამიაც ძალიან ბევრს გადაქაჩავენ. იმდენი გამოცდილება არ ეყო ამ ხალხს, რომ გაეკეთებინათ რებრენდინგი და შეეფუთათ ცოტა სხვანაირად ეს პარტია. ხალხი „კასტილიანის“ შთამომავლებს უწოდებს“



## „თალაკვაძემ თქვა, ფარცხალაძე არ ვახსენოთო. ასე მხოლოდ 1937 წელს იქცეოდნენ“



გვ.3

სოსო ცინცაძე: „არჩევნები ჩატარდება ისე, როგორც აქამდე ტარდებოდა“



გვ.3

ირაკლი ეძგვერაძე: „გამოძიებას არ ვენდობი, 50 კაციდან მხოლოდ ექვსია დაკავებული, შეიძლება ამ მასკარადში შევიდე?“

პრეზიდენტის იმპიჩმენტის საქმეზე საკონსტიტუციოში მოსმენა 3 ოქტომბერს, 12:00 საათზე ჩაინიშნა



გვ.2



გვ.2

ხატია დეკანოიძე: „ჩამოერთვას ფარცხალაძეს მოქალაქეობა, დიდი რაოდენობით ფული ბანკებიდან უკვე გატანილი აქვს“

## დამოუკიდებლობის იდეა ინგუშეთშიც ძლიერდება



გვ.4

„კავკასიაში ბევრი ინტერესანტია“




გვ.4

კრიმინალური გარჩევა ჩუბინაშვილის ქუჩაზე

## ჯონ კენედის მინიმუმ სამი ადგილიდან ესროლეს



გვ.5




## საქართველოში ანტიმაიდანიც ანონსდება

გვ.4

3 დიტო სამხარაძე: „ხალხმა უნდა იცოდეს სიმართლე“

3 ბათუმში, პლაჟზე 40 წლამდე მამაკაცი გულის შეტევით გარდაიცვალა

6 ძროხების თავდასხმის შედეგად მამაკაცი საავადმყოფოში მოხვდა

6 უკრაინულმა არმიამ ბახმუტ-გორლოვკის ტრასა ცეცხლოვანი კონტროლის ქვეშ აიყვანა

# „ნაციონალური მოძრაობა იშლება!“

## მამუკა გამყრელიძე: „თუ ეროვნული ბანკის მმართველი არ არის დამოუკიდებელი ფიგურა, ეს არის ტრაგედია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, ბოლო პერიოდში აქტიურად საუბრობენ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მესამედ მოსვლაზე. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე? ან რაიმე ნიშნები თუ გამოიკვეთა საამისოდ, გარდა იმისა, რომ ივანიშვილმა ორგანიზაცია „მოქალაქე“ გაააქტიურა.***

– ეს არის განსჯის საგანი, შემოვა თუ არ შემოვა პოლიტიკაში. არანაირი ფაქტი ჩვენ არა გვაქვს და ახლობლებსაც კი არ ეცოდინებათ, თუ რას ფიქრობს ეს ადამიანი. საკმაოდ დახურული ადამიანია. ამიტომ მე ასე ვიტყოდი, ერთადერთი იმ შემთხვევაში შეიძლება შემოვიდეს პოლიტიკაში, თუ რაღაცა პრობლემა გაუჩნდება „ქართულ ოცნებას“ და იქნება საფრთხე იმისა, რომ ვერ მოიგოს არჩევნები 2024 წელს.

***– არის ეჭვი, რომ კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემენ და შესაძლოა, სწორედ ამ დროს შეექმნათ სერიოზული კრიზისი.***

– მე არ გამოვრიცხავ იმას, რომ საქართველომ ვერ მიიღოს კანდიდატის სტატუსი და ამას მოჰყვეს გამოსვლები, პროტესტი და ა.შ. თუმცა ბოლო პერიოდში ბევრი ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ნამდვილად უნდა ყოფილიყო პროტესტი, მაგრამ არ გამოდის ხალხი. 2 ათასი და 3 ათასი კაცი არანაირ დისკომფორტს არ უქმნის „ოცნებას“. არც იმის წინაპირობა არსებობს, რომ „ქართული ოცნება“ ვერ შეძლებს გამარჯვებას არჩევნებზე. რა მიზანი უნდა ჰქონდეს ბატონ ივანიშვილს იმისათვის, რომ გამოვიდეს კომფორტის ზონიდან და შემოვიდეს პოლიტიკაში, მე ამის მიზეზს ვერ ვხედავ. თუ მან სერიოზული საფრთხე დაინახა, ეს უკვე სხვა საქმეა. მისი ავტორიტეტი რომ ბევრად მაღალია მთელი „ოცნების“ ავტორიტეტზე, ეს ყველასთვის ცხადია.

***– ბატონო მამუკა, არჩევნები ახსენეთ და გლდანში მომხდარ ინციდენტზე გკითხავთ. რა ხდება, ძალას აჩვენებს „ოცნება“ ოპოზიციას? ეს იყო პროვოკაცია?***

– მე არა მგონია, რომ ეს ერთჯერადი ექსცესი იყოს. მგონია, რომ მთელი წინასაარჩევნო პერიოდი ასეთ რეჟიმში ჩაივლის.



**„მელიაც და გვარამიაც ძალიან ბევრს გადძაქაჩავენ. იმდენი გამოცდილება არ ეყო ამ ხალხს, რომ გაეკეთებინათ რებრენდინგი და შეეფუთათ ცოტა სხვანაირად ეს პარტია. ხალხი „კასტილიანის“ შთამომავლებს უწოდებს“**

თუ ნახეთ ამაზე სუს-მაც გაგვაფრთხილა, არიქა გადატრიალება მზადდებაო. ხომ გახსოვთ ეს შესავალი?!

***– მერედა ვის აწყობს ახლა მსგავსი ექსცესები? ოპოზიცია წამოეგო ანკესზე თუ მიზანმიმართულად მიდის ამაზე? „ოცნების“ თამაშს ხომ არ თამაშობს და „უპრავებს“ ამ დაანონსებულ გადატრიალებას?***

– რა მნიშვნელობა აქვს, გაყიდული ხარ თუ სასარგებლო იდიოტი.

***– რაღაც საეჭვოდ ემთხვევა ყოველთვის და როგორ შეიძლება სულ იდიოტი იყო?***

– რა გითხრათ აბა. ზოგი ერთს ფიქრობს, ზოგი – მეორეს. რეალურად რომ ვთქვათ, დღეს „ქართულ ოცნებას“ აქვს ძალიან ძლიერი პოზიცია. ცემა-ტყეპა ატყდება თუ რაც არ უნდა იყოს, ხალხში ეს არ იწვევს არანაირ გალიზიანებას. მეტსაც გეტყვით, იტყვიან, რომ ღირსები არიან ნაციონალები და გალახეს.

***– ნიშანდობლივი იყო კალაძის განცხადებაც, კასრების თემა ახალგაზრდობამ არ იცის და მათაც უნდა ვაჩვენოთ, რას ჩადიოდნენ ნაციონალებიო. როდემდე უნდა იტრიალოს ამ ერთი და იგივე თემამ?***

– სანამ ხალხი ყლაპავს ამ თემას, მანამდე იტრიალებს. ყველაფერი არის ამომრჩევლის და საზოგადოების განსასჯელი და შესაფასებელი. თუ ამომრჩეველი არ ფიქრობს, რომ ახლა წინ უნდა წავიდეთ, მაშინ ატრიალონ ისევ ის კადრები და ისევ ის „კასტილიანი“ კაცი. ნაციონალების ბრალია! ამდენი ხნის განმავლობაში ის ვერ მოახერხეს, რომ რებრენდინგი გაეკეთებინათ. გადასარევად ხედავენ, რომ კარგავენ ამომრჩეველს. რაც დრო გადის, მით უფრო ნაკლები ამომრჩეველი ჰყავთ. იშლება პარტია, ხან აქედან გახლეჩავენ, ხან – იქიდან. ძალიან მალე აუცილებლად გაიხლიჩება!

***– მელია წავა?***

– მელიაც და გვარამიაც ძალიან ბევრს გადაქაჩავენ. იმდენი გამოცდილება არ ეყო ამ ხალხს, რომ გაეკეთებინათ რებრენდინგი და შეეფუთათ ცოტა სხვანაირად ეს პარტია და განახლებული სახე მიეღო, რათა ნაკლები გალიზიანება ყოფილიყო ხალხში. ახლა კი ხალხი გაიძახის, რომ იმ „კასტილიანის“ შთამომავლები არიანო და ასე იქნება ძალიან დიდხანს. ამიტომ სულაც არაა საჭირო, ბიძინას შემობრუნება პოლიტიკაში, ისედაც მშვენივრად გრძნობს თავს „ოცნება“.

***– ბატონო მამუკა, რა თამაშს ან ვის თამაშს თამაშობს სალომე ზურაბიშვილი? ფარცხალაძის სკანდალური თემა და პრეზიდენტის გადაწყვეტილება. რას უკავშირდება ეს ყველაფერი? ხომ არ არის სერიოზული ზეწოლა მასზე?***

– არ ვიცი, რა ზეწოლა უნდა იყოს. ცოტა უცნაურად იქცევა ეს ქალბატონი. მთავარი კითხვა არის ერთი, რაც თქვენ მკითხეთ, რა თამაშს თამაშობს სალომე ზურაბიშვილი? როდესაც აქ სალომეს ქებადიდება ატყდა, ვაშა-ურა და მრავალჟამიერი, მე მაშინვე ვთქვი, სხვათა შორის, თქვენთან ინტერვიუში, რომ მე ამ ქალბატონის ქებას ვერ დავიწყებ და არ დავიწყებ. ძალიან ბევრი რამ მახსოვს მისგან ცუდი! თუნდაც ეს ერთი, რომ საქართველომ დაიწყო ომი! შეიძლება ახლა ვთქვათ, რომ სალომე უკეთესია, ვიდრე „ქართული ოცნება“, მაგრამ უარესზე ოდნავ უკეთესი რომ ხარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კარგი ხარ. ალბათ სალომე საკუთარ თამაშს თამაშობს. საპენსიო ასაკში გადის და კარგი სახელი სჭირდება დასავლეთში. ის ხედავს, რომ „ქართული ოცნება“ არაპოპულარულია დასავლეთში, ევროკავშირთან დაახლოება პოპულარულია და ზუსტად ამ ტრენდში ზის და ამ გზით მიდის. ჩემი აზრით, ქალბატონ სალომეს არანაირი პერსპექტივა საქართველოში არ აქვს, ამიტომ მან ისეთი პოზიცია უნდა დაიჭიროს, რომ დასავლეთისთვის მისაღები ფიგურა იყოს.




***– ბატონო მამუკა, ფარცხალაძის თემასთან დაკავშირებით ვნახეთ ეროვნული ბანკის, ასე ვთქვათ, არაადეკვატური გადაწყვეტილებები. რამდენად საფრთხის ქვეშ არის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკი?***

– საქართველოს ეროვნულ ბანკს ძალიან ცუდი პოზიციის დაკავება მოუწია. რეალურად გამოჩნდა, რომ თურნავა დამოუკიდებელი პერსონა არ არის. თავიდან სწორი პოზიცია დაიჭირა თურნავამ, მაგრამ შემდეგ ვერ გაუძლო ზეწოლას „ქართული ოცნებიდან“. როგორც ჩანს, კიდევ უფრო მაღლიდან. „ქართულ ოცნებაზე“ მაღლა ხომ არის კიდევ, ოლიმპოზე მდგარი კაცი. გამოჩნდა, რომ ის არაა დამოუკიდებელი. თუ ეროვნული ბანკის მმართველი არ არის დამოუკიდებელი ფიგურა, ეს არის ტრაგედია. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ყოველთვის არასწორ გადაწყვეტილებებს მიიღებს. ისეთს, როგორც ახლა. მე არ ვიცი, თურნავას დაასანქცირებენ თუ რამე პრობლემებს შეუქმნიან, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ დასავლეთში მას აღარ ექნება დამოუკიდებელი მმართველის იმიჯი. ეს ძალიან ცუდია, რადგან სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ჩვენი დაფინანსების და კრედიტების საკითხებზე. თუ ჩვენ ამას ცოტა უფრო შორს მიმავალ პერსპექტივაში განვიხილავთ. ვიცით, რომ საქართველოს მთავრობა აპირებს დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების დაწყებას, აეროპორტის მშენებლობას და ანაკლიის პორტის. ამ შემთხვევაში თუ ჩვენ კარგ კრედიტებს ვერ მივიღებთ დასავლეთიდან, მაშინ ჩამოგვკიდებს ეს მთავრობა ჩინურ კრედიტებზე, რაზეც ახლავე, წინასწარ შემიძლია გითხრათ, რომ ეს იქნება ქვეყნის გაკოტრების ტოლფასი! ძალიან რბილად რომ ვთქვა, ჩვენი ხელისუფლება ძალიან არასწორ გზას ადგას ამ თვალსაზრისით.

## ხატია დეკანოიძე: „ჩამოერთვას ფარცხალაძეს მოქალაქეობა, დიდი რაოდენობით ფული ბანკებიდან უკვე გატანილი აქვს“



– ფარცხალაძეს დაუყოვნებლივ უნდა ჩამოერთვას მოქალაქეობა, – ეს განცხადება „ევროოპტიმისტების“ წევრმა ხატია დეკანოიძემ გააკეთა.

როგორც დეპუტატი ამბობს, საქართველოს პრეზიდენტმა გადაწყვეტილება უნდა შეცვალოს და ჯაშუშობაში მხილებულ ყოფილ პროკურორს მოქალაქეობა უნდა ჩამოართვას. ხატია დეკანოიძის ინფორმაციით, ფარცხალაძემ ბანკებიდან დიდი ოდენობის ფულის გამოტანა უკვე მოასწრო.

ხატია დეკანოიძე სალომე ზურაბიშვილის კიდევ ერთ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, რომელიც სებ-ში ახალი კანდიდატების წარდგენას ეხება. როგორც დეკანოიძე ამბობს, სალომე ზურაბიშვილის არგუმენტი, რომ ამ ორი კანდიდატის წარდგენით „ოცნების“ ლუსტრაცია მოხდებოდა, მიუღებელია. როგორც დეკანოიძე ამბობს, თუ მხილება სურდა პრეზიდენტს, ამისთვის განცხადების გაკეთებაც და საზოგადოების გაფრთხილება საკმარისი იქნებოდა.

ვეთანხმები პრეზიდენტს იმ შეფასებაში, რომ სებ-ის ეს გადაწყვეტილება არის რუსული გადაწყვეტილება და ის „ეფესბეს“ აგენტ ფარცხალაძეს აძლევს საშუალებას, საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად თავი აარიდოს სანქციებს და გამოიტანოს ძალიან დიდი რაოდენობით ფული. ჩემი ინფორმაციით, ასეთი ფული გამოტანილია.

რაც შეეხება პრეზიდენტის არგუმენტს, რომ ქალბატონი ყეინიშვილის და მეორე კანდიდატის წარდგენა მოხდა მხოლოდ ლუსტრაციისთვის, ამას ვერ გავიზიარებ. იყო მცირე შანსი ან საერთოდ არ წარდგენილიყვნენ მსგავსი კანდიდატები, ან გამოსულიყო ქალბატონი პრეზიდენტი თურნავას გადაწყვეტილებამდე და ეთქვა, რომ სებ-ის დამოუკიდებლობა საფრთხის ქვეშ არის. ეს ასე არ მოხდა სამწუხაროდ. მისი არგუმენტი, ვფიქრობ, საკმაოდ სუსტია, რადგან „ქართული ოცნების“ ლუსტრაცია ძალიან დიდი ხანია დასრულებულია.

ასევე, ჩემი მოსაზრებაა და ამ ნაწილში მე გავაკრიტიკებ პრეზიდენტს, რომ „ეფესბეს“ აგენტს, რომელსაც ექნებოდა მხოლოდ რუსული პასპორტი, დაბრკოლება შეექმნებოდა ევროპულ ქვეყნებში გადაადგილებისას, ხოლო ქართული პასპორტით არ ექმნება, ჩვენი პასპორტი სარგებლობს უვიზო რეჟიმით. ასევე ქართული პასპორტით ის სერიოზულ პრობლემას ქმნის არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ შეიძლება პრობლემა შეუქმნას ევროპულ ქვეყნებსაც, გადაადგილდება რა საქართველოს პასპორტით. ამიტომ მას, ჩემი აზრით, დაუყოვნებლივ უნდა ჩამოერთვას მოქალაქეობა, ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოს ხელისუფლება, რომელიც გადაეფარა ფარცხალაძეს, მას არ დასჯის და ერთადერთი ბერკეტი, რომელიც აქვს საზოგადოებას და პრეზიდენტს, იყო საქართველოს მოქალაქეობის წართმევა, – განაცხადა დეკანოიძემ.

## პრეზიდენტის იმპიჩმენტის საქმეზე საკონსტიტუციოში მოსმენა 3 ოქტომბერს, 12:00 საათზე ჩაინიშნა



საკონსტიტუციო სასამართლოს ცნობით, პრეზიდენტის იმპიჩმენტზე კონსტიტუციური წარდგინების არსებითი განხილვა ზეპირი მოსმენით გაიმართება 2023 წლის 3 ოქტომბერს, 12:00 საათზე. პროცესში მონაწილეობას წარდგინების ავტორები და საქართველოს პრეზიდენტი მიიღებს.

– საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2023 წლის 22 სექტემბრის №3/2/1797 საოქმო ჩანაწერით, არსებითად განსახილველად მიიღო №1797 კონსტიტუციური წარდგინება („საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის საკითხზე“).

№1797 კონსტიტუციური წარდგინებაში განხილვის საგანს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაძლო დარღვევა, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების გამო, რაც გამოიხატა საზღვარგარეთ სამუშაო ვიზიტების განხორციელებით და ოფიციალურ პირებთან სამუშაო შეხვედრებისა და მოლაპარაკებების გამართვით, – აღნიშნულია განცხადებაში.

შეგახსენებთ, „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურა 1-ელ სექტემბერს დაიწყო. ირაკლი კობახიძის მტკიცებით, ზურაბიშვილი მთავრობის უარის მიუხედავად, მაინც გაემგზავრა ევროპაში, რითაც „უხეშად დაარღვია კონსტიტუცია“.

უმრავლესობამ საკონსტიტუციოს მიმართა. 18 სექტემბერს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საქმე განსახილველად საკონსტიტუციოს პლენუმს გადაეცა. მომხსენებელი მოსამართლე ევა გოცირიძე იქნება.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ახლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა მალაგაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. სარედაქციო უფლებები დაცულია.

# „თალაკვაძემ თქვა, ფარცხალაძე არ ვახსენოთო. ასე მხოლოდ 1937 წელს იქცეოდნენ“

## სოსო ცინცაძე: „არჩევნები ჩატარდება ისე, როგორც აქამდე ტარდებოდა“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

*– ბატონო სოსო, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ ფარცხალაძის შემთხვევა არის ამოწურული, მასზე კანონით დადგენილ ყველა ნაწილში იყო რეაგირება. ფიქრობთ, ხელისუფლება ამ საკითხს ამოწურულად უყურებს?*

– არჩილ თალაკვაძის ეს განცხადება მეც მოვისმინე. სიმართლე გითხრათ, ძალიან უცნაური განცხადებაა. ძალიან რბილად რომ ვთქვა, შეიძლება თალაკვაძეს სხვა რალაცის თქმა უნდოდა და სულ სხვა რალაც გამოუვიდა. წარმოუდგენელია, ასეთ ფაქტს ქვეყნის ხელისუფლებამ ასე უპასუხოს.

ვილაცამ კი არა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა, შენი ქვეყნის მოქალაქე, თან ყოფილი გენერალური პროკურორი, ძალიან მაღალი თანამდებობის პირი, რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ამხილა. ამ დროს ხელისუფლება, ყოველ შემთხვევაში მისი წარმომადგენელი, ვინმე რიგითი წევრი კი არა, კანონმდებელი, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრი, ამბობს, რომ ფარცხალაძე აღარ ვახსენოთო. ვინც ფარცხალაძეს ახსენებს, ყველა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგია, ეს გვითხრა თალაკვაძემ.

მე არ მახსენდება მსგავსი შემთხვევა, როდესაც პოლიტიკოსს, თან კანონმდებელს, ასეთი განცხადება გაეკეთებინა. ვერ გეტყვით, შეიძლება წამოსცდა ან სულ სხვა განცხადება უნდოდა გაეკეთებინა, მაგრამ გვითხრეს – თუ ადამიანი ეჭვმიტანილია დანაშაულში, მისი გვარი არ ახსენოთ, ამაზე ხმა არ ამოიღოთო. ასეთი რამ ხდებოდა 1937 წელს. 37-წელს ისე დასჯიდნენ ადამიანს, ისე ჩუმად, რომ მისი სახელის ხსენებაც კი არ იყო. თითქოს ეს ადამიანი არც კი დაბადებულა. მერე მის შვილებს, თუ ჰყავდა, გვარს უცვლიდნენ. დღეს, მსგავსი განცხადება პარლამენტის წევრის მხრიდან, უბრალოდ, ნონსენსია. 21-ე საუკუნეში საბჭოთა კავშირი წარმოუდგენელია. დღეს ფარცხალაძეა, ხვალ შეიძლება პეტრიაშვილი იყოს, არაფერი არ უნდა ვთქვათ?! გამაგებინეთ, სადღაა დემოკრატია, ღია საზოგადოება, რომელიც ყველაფერზე უნდა მსჯელობდეს და საღ აზრს აყალიბებდეს.

*– როგორც ჩანს, ძალიან მტკივნეული თემაა, თან წინ სერიოზული არჩევნებია.*

– არავითარი გავლენა ამ ფაქტს არჩევნებზე არ ექნება. ამაზე ნუ იდარდებენ. ხალხს ბევრად უფრო სხვა რამ აწუხებს, ვიდრე ფარცხალაძე და მასთან დაკავშირებული სკანდალი.

*– როგორ ფიქრობთ, გამოიძიებენ? პრეზიდენტის გადაწყვეტილების ახსნა მოვისმინე, როდესაც ფარცხალაძეს მოქალაქეობა არ შეუჩერა. ექსპერტები ამბობენ, რომ პრეზიდენტი ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლებას აიძულებს, სათანადოდ იმოქმედოს.*

– მეც ვფიქრობ, რომ სალომე ზურაბიშვილის გადაწყვეტილების უკან, რომ არ შეუჩერა მოქალაქეობა ფარცხალაძეს, სწორედ ეს დგას, მაგრამ თუ სამ თვეში არ დააკავეს ფარცხალაძე და თუ თან ქვეყანაც დატოვა საქართველოს მოქალაქის პასპორტით, მერე ეს გადაწყვეტილება მცდარი იქნება.

პრეზიდენტი თავის გადაწყვეტილებებში დამოუკიდებელია. ის ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორად მოიქცა და ამის თქმა მე არ მიჭირს, მაგრამ იგივეს ვერანაირად ვერ ვიტყვი ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების კანდიდატების წარდგენისას. ყეინიშვილისა და ხომერიკის წარდგენის დროს გაკეთებული არგუმენტები არ იყო დამაჯერებელი. ყოველ შემთხვევაში, ეს იყო სუსტი არგუმენტი. არ იყო საჭირო ლუსტრირება, თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდა „ქართული ოცნება“, ეს ისედაც ნათელი იყო. მის მიერ წარდგენილ კანდიდატებზე კი თავად აგებს პასუხს.

*– თქვენ თქვით, რომ ამ საკითხებს არავითარი გავლენა არ ექნება არჩევნებზე. რატომ?*

– არ ექნება და ახლავე აგიხსნით რატომ? – ადამიანები თავიანთი კონკრეტული პრობლემებით ცხოვრობენ. წამლები გაძვირდა, საკვები ასი პროცენტით გაძვირდა, პენსია ძალიან მცირედია, უმუშევრობა მაღალია, თუ ვინმე მუშაობს, ხელფასი ისეთი აქვს, რომ ოჯახის სარჩენად არ ყოფნის, ლარი უფასურდება. ადამიანები ხელისუფლებას ამ პრობლემების მოგვარებასთან ასოცირებენ და სამართლიანადაც. ერთი სიტყვით, ამ პრობლემების მომგვარებლად ირჩევენ. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ფარცხალაძის სკანდალთან ბმას ვერ ხედავს რიგითი „ობივატელი“. ამომრჩეველი ამ კავშირს ვერ ამყარებს. ამიტომ ვამბობ, რომ გავლენა არ ექნება და შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. არჩევნები ჩატარდება ისე, როგორც აქამდე ტარდებოდა. არაფერი განსაკუთრებული არ მოხდება.

## ბათუმში, პლაჟზე 40 წლამდე მამაკაცი გულის შეტევით გარდაიცვალა

გუშინ, 25 სექტემბერს, დილით ბათუმის პლაჟზე 40 წლამდე მამაკაცი გულის შეტევით გარდაიცვალა.




ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით, მამაკაცი წყლიდან ამოსვლის შემდეგ შეუძლოდ გახდა და ადგილზევე გარდაიცვალა. წინასწარი ინფორმაციით, მას გულის შეტევა ჰქონდა.

გარდაცვლილი ტურისტი იყო. დაწყებულია ძიება.

## აშშ-ის კონგრესი უკრაინის დახმარებას გააგრძელებს

აშშ-ის კონგრესი გააგრძელებს უკრაინისადმი დახმარებას. ამის შესახებ განაცხადა კონგრესის სპიკერმა მაკარტიმ.

ამერიკელთა 66% უკრაინისადმი დახმარების გაგრძელების მომხრეა. აღსანიშნავია, რომ ზელენსკის აშშ-ში ვიზიტის წინ ეს ციფრი 61% იყო.

## სომხეთი შესაძლოა ოდკბ-დან გავიდეს

ყარაბაღის კატასტროფის შემდეგ სომხეთში ანტირუსული განწყობები გაიზარდა. პრემიერმა პაშინიანმა განაცხადა, რომ რუსეთმა სომხეთი გაყიდა, რადგანაც ახლა თურქეთის კეთილი განწყობა უფრო სჭირდება, ვიდრე ქრისტიანი სომხეთის მხარდაჭერა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## დიტო სამხარაძე: „ხალხმა უნდა იცოდეს სიმართლე“



„ქართული ოცნების“ დეპუტატი დიტო სამხარაძე:

– ხალხმა უნდა იცოდეს სიმართლე, რეალურად რატომ გვთხოვენ ომის დაწყებას და თან რა პირობებით! ვინმე ხომ არ ფიქრობს, რომ უნდათ აფხაზეთი და სამაჩაბლო დავიბრუნოთ? არაა! მთავარი ინტერესია, რაც შეიძლება მეტი რუსი ჯარისკაცი მოვწყვიტოთ უკრაინის ფრონტს! ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება, პირიქით, არ აწყობთ, რადგან გაქცეული რუსი ჯარისკაცი უკრაინაში დაბრუნდება. საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის მიზანი არის რუსეთის მიერ საქართველოს სრული ოკუპაცია, რადგან ასეთ შემთხვევაში რუსეთი იძულებული იქნება, 60-80 ათასი ჯარისკაცი საქართველოში განალაგოს, ოკუპაციის შენარჩუნების მიზნით. რაც, შესაბამისად, უკრაინისთვის სერიოზულ შვებას ნიშნავს! გაინტერესებთ, რას ამბობს გლობალური ომის პარტია პირად საუბრებში?

3 მილიონ-ნახევარი ხართ და ყველა ხომ არ გაწყდებითო! დაეხმარეთ უკრაინას, შვება იგრძნოს, მოიპოვოს უპირატესობა და მას შემდეგ, რაც გაიმარჯვებენ, თქვენც დაგიხსნითო (ანუ დაახლოებით ისეთ დროს ამბობენ, შეიძლება საერთოდ რომ აღარ ვარსებობდეთ)! ჩვენ გვეძახიან რუსებს, ვისაც არ გვინდა ომი, საქართველოს ოკუპაცია, სისხლისღვრა და თვითონ არიან პროევროპელები? ყოველთვის, როდესაც ქვეყანაში იქმნება დესტაბილიცაზიის კერა, ყოველთვის ღიად და აშკარად ფიქსირდება რუსული ლობი! ასე იყო მაშინაც, როცა ფანჩატურში ნინო ბურჯანაძე ჰყავდათ და ასე არის ახლაც, ლიაკა ხოშტარია „ლიდერობს“!

## ირაკლი ეძგვერაძე: „გამოძიებას არ ვენდობი, 50 კაციდან მხოლოდ ექვსია დაკავებული, შეიძლება ამ მასკარადში შევიდე?“



– გამოძიებას არ ვენდობი – ზუსტად ვიცი, რაც არ უნდა გულწრფელად ვილაპარაკო, პირიქით შემომიტრიალდება ყველაფერი – 50 კაციდან მხოლოდ 6-ია დაკავებული, შეიძლება ამ მასკარადში შევიდე? – ამის შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნაციონალური მოძრაობის დეპუტატმა, ირაკლი ეძგვერაძემ განაცხადა.

როგორც ეძგვერაძე აღნიშნავს, თავდამსხმელები ვერ იცნო, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს მათი იდენტიფიცირება კამერების საშუალებით შეუძლია.

– მე იურისტი არ ვარ, მაგრამ ყველაფერი ნათელია, ყველაფერი დღის შუქზეა გამოტანილი. წლამდე აქვთ ბრალი წაყენებული, როცა 50 კაცი მოვარდა. 30 კაცი შიგნით შემოვარდა, ყველაფერი დამილეწეს. ყველაფერი გატეხილია. „ნაციონალი“ მეძახეს მცირეწლოვანი შვილებთან ერთად... 50 კაციდან მხოლოდ 6-ია დაკავებული? ამას უნდა ვენდო? შეიძლება ამ მასკარადში შევიდე? ზუსტად ვიცი, რაც არ უნდა ვთქვა, რაც არ უნდა სიმართლე ვილაპარაკო, რაც არ უნდა გულწრფელად ვილაპარაკო, პირიქით შემომიტრიალდება ეს ყველაფერი, – განაცხადა ეძგვერაძემ.

როგორც საკრებულოს დეპუტატმა აღნიშნა, ადამიანები, რომლებმაც მასზე ფიზიკურად იძალადეს, თბილისის საკრებულოს „ქართული ოცნების“ დეპუტატის, კოტე ზარნაძის ყველა მითითებას ასრულებენ.

მისივე თქმით, თავდამსხმელები „გავეშებულად იქცეოდნენ“.

– თავის არეში მაქვს ძირითადად, სახეზეც დარტყმული. ბეჭებზეც. რა ვიცი, ვეგდეთ და წიხლებით... შეძახილები მესმოდა შენი „ნაციონალი“... გინება. თითქოს საარჩევნო კამპანია გახსნეს. ზუსტად ასე იქცეოდნენ. მელიას ლანძღავდნენ უშვერი სიტყვებით, მესამე პრეზიდენტს. დალეწეს ყველაფერი. ჩვენი გალახვა რომ არ იკმარეს, იმ სივრცეში, სადაც ჩემი ნივთები მაქვს, ყველაფერი დაანგრიეს და დალეწეს. პაპუასური, ვანდალური აქტი. მერე გარეთ იგინებოდნენ. არც მშობლებს მოერიდნენ. დედაჩემს ყველაფერი თავისი თვალით აყურებინეს. ჩემი მეგობრების მცირეწლოვან შვილებს, – განაცხადა ეძგვერაძემ.

სამართალი

## ინცესტში მხილებული კაცი ცოლს მეორე შვილით აშანტაჟებს

12 წლის გოგონამ საკუთარი მამა სექსუალურ ძალადობაში ამხილა. ბავშვმა დუმილი ბოლო ძალადობიდან 4 წლის შემდეგ დაარღვია და გამომძიებელს, ფსიქოლოგის თანდასწრებით, გაუპატიურების და გარყვნილი ქმედების ფაქტებზე უამბო. დეტალები შემზარავია და „კურიერიP.S-ი“ გამოკითხვის ოქმის შინაარსს მხოლოდ ნაწილობრივ ასაჯაროებს.

– მამა მაყურებინებდა ვიდეოებს და მთხოვდა იმავეს გამეორებას. ეს რამდენჯერმე მოხდა, მაშინ, როცა მარტო ვრჩებოდით და დედა სამსახურში იყო. მეუბნებოდა, რომ არავისთვის არაფერი მეთქვა და ეს ჩვენი საიდუმლო იყო. ეს ყველაფერი დაიწყო მაშინ, როდესაც 8 წლის ვიყავი. შემდეგ მამა დედაზე ძალადობისთვის დააკავეს, – ნათქვამია გამოკითხვის ოქმში.

ბავშვი მას შემდეგ ალაპარაკდა, რაც გაიგო, რომ ცოლზე ძალადობისთვის დაპატიმრებული მამა ციხეს მალე დატოვებდა.




43 წლის მამაკაცს, მეუღლის გაუპატიურებისა და ცემის ბრალდებით, 7 წელი მიუსაჯეს. 4 წელი გავიდა და მოძალადე ყოფილ ცოლთან თითქმის ყოველდღიურად რეკავდა – ითხოვდა პატიებას და სასჯელის შესამსუბუქებლად წერილობით თანხმობას. ქალი თითქმის დაითანხმა, დედამ გადაწყვეტილება შვილებს უთხრა. 12 წლის გოგონა მამის შესაძლო გათავისუფლების ამბავმა შეძრა და 4-წლიანი დუმილი დაარღვევინა.

მას შემდეგ კი, რაც ადვოკატი აიყვანა, სავარაუდო მოძალადემ დუმილი არაღიარებით შეცვალა – 12 წლის შვილი ტყუილში დაადანაშაულა, ყოფილი მეუღლე კი, ბავშვზე ზემოქმედებაში. დაწყებული გამოძიების ფარგლებში, 43 წლის მამაკაცი ციხეში გამოჰკითხეს. „კურიერიP.S-ი“ მის ადვოკატს დაუკავშირდა, რომელმაც შეხვედრაზე უარი გვითხრა.

ამ პოზიციასთან ერთად, ინცესტში მხილებული კაცი ცოლს მეორე შვილით აშანტაჟებს, რომელიც ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, საზღვარგარეთ მკურნალობას საჭიროებს. ბავშვი არასრულწლოვანია და ქვეყნიდან გაყვანისთვის მამის თანხმობა სჭირდება.

რა მტკიცებულებები იძებნება შემზარავი დანაშაულის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების საქმეში – 12 წლის გოგონას დაზარალებულის სტატუსი ჯერ არ აქვს. ადვოკატი კი მიიჩნევს, რომ ინცესტში მხილებული მამაკაცისთვის ბრალის წარსადგენად, საკმარისი დოკუმენტები შეგროვდა. 12 წლის ბავშვის ინტერესების დამცველმა, გამოძიების დაჩქარება კიდევ ერთხელ მოითხოვა. პარალელურად, ამზადებს სარჩელს, სავარაუდო დამნაშავისთვის მამობის უფლების ჩამორთმევის მოთხოვნით.

12 წლის გოგონას ისტორია, სავარაუდოდ, ბავშვზე ძალადობის მძიმე სტატისტიკაში ჩაიწერება. ირკვევა, რომ მონაცემები ყოველწლიურად იზრდება. საკითხზე მომუშავე უფლებადამცველები გამოკვეთილ ტენდენციებს სწავლობენ – ირკვევა, რომ მოძალადე უმეტესად არასრულწლოვანის ახლო გარემოცვიდან არის.

არასრულწლოვანზე სექსუალური მოძალადეები, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, პედოფილთა ბაზაში ხვდებიან. ამ ბედს გაიზიარებს 12 წლის გოგონას მამაც, თუ სექსუალური ძალადობის ფაქტებს სასამართლო დაადასტურებს.

## ბათუმში ავტომობილი დაიწვა

ბათუმში „მაზდას“ მარკის ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა. ინფორმაციას ადგილობრივი მედიასაშუალება TV25 ავრცელებს და წერს, რომ შემთხვევა ცოტა ხნის წინ მოხდა და მას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

რა გახდა შემთხვევის მიზეზი, ჯერჯერობით, უცნობია.

# საქართველოში ანტიმაიდანიც ანონსდება

მარიამ მჭედლიშვილი




საქართველოს დაძაბული საშინაო მდგომარეობა, როგორც ჩანს, კიდევ უფრო გართულდება. ყოფილი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის დასანქცირებამ ქვეყანაში ბევრი რამ არია. ამას მოჰყვა ბევრი პროცესი და რადიკალიზაცია, ფიზიკური დაპირისპირებების მთელი სერია, მათ შორის, პარლამენტსა და დედაქალაქის საკრებულოში.

18 სექტემბრის შემდეგ პოლარიზაციის ერთ-ერთი საგანი გახდა საქართველოში შესაძლო გადატრიალების, ანუ მაიდნის მოწყობა. სუსმა ამ დღეს გამოაცხადა, რომ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ პირთა ჯგუფი უახლოეს ხანში, კონკრეტულად, ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერში გეგმავს დესტაბილიზაციას და არეულობის მოწყობას.

უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით, არეულობის საბოლოო მიზანია ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა. გეგმის ავტორებს შორის, სუს-ის სიტყვებით, არიან ყოფილი შს მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მოადგილე გიორგი ლორთქიფანიძე, რომელიც ამჟამად უკრაინის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელის მოადგილეა, „ქართული ლეგიონის“ მეთაური მამუკა მამულაშვილი და სააკაშვილის ყოფილი პირადი დაცვის თანამშრომელი მიხეილ ბატურინი, რომელიც ასევე უკრაინაშია.

ხსენებულმა პირებმა ბრალდებები უარყვეს. მამულაშვილმა აღნიშნა, რომ რუსეთის მითითებით ხდება „ქართული ლეგიონის“ დისკრედიტაცია.

ოპოზიციონერებმა სუს-ის განცხადება არასერიოზულად მიიღეს. მათი თქმით, ეს ისტორიაც ისევე დამთავრდება, როგორც „საბურავების“ და სხვა საქმეები.

პოლიტიკოსების ნაწილმა ბოლო დროს საქართველოში დაწყებულ დავიდარაბაში, განსაკუთრებით, პარლამენტში მომხდარ მუშტი-კრივში, არეულობის გამოწვევის ნიშნები შეამჩნია და ჩათვალა, რომ სუს-ის გაფრთხილება უკვე ახდა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გიორგი ცაგარეიშვილის შეფასებით, სუს-ის პროგნოზი გამართლდა. მან ყურადღება გაამახვილა ექსპრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვებზეც:

– შეხედეთ ყოფილი პრეზიდენტის მოწოდებებს. თუ ქვეყანა სტატუსს (ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსს) ვერ მიიღებს, ქუჩაში უნდა გამოხვიდეთო.

დაანონსებულ მაიდანს მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ. „ალტ ინფოს“ ბაზაზე დაფუძნებული ანტიდასავლური პარტია „კონსერვატიული მოძრაობა“ აცხადებს, რომ იქმნება „ანტიმაიდნის მოძრაობა“.

მისი წარმომადგენლების სიტყვებით, „ანტიმაიდნის მოძრაობა“ იქმნება პროდასავლური ჯგუფების მხრიდან საქართველოში დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალებისა და მაიდნის მოწყობის აღსაკვეთად“.

პარტიის ლიდერები ამბობენ, რომ თანამოაზრეებსა და მოხალისეებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეკრებენ.

საქართველოში შეიძლება არც მაიდანი მოხდეს და არც ანტიმაიდანი დაიწყოს, თუმცა სიტუაცია საკმაოდ რთულია. ქვეყანა ელის ევროკავშირის სტატუსს, რუსული გავლენების, ფარცხალაძის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თემები არ ამოწურულა, დაახლოებით ერთ წელიწადში საპარლამენტო არჩევნებია. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ სიმშვიდე კარგა ხანს ვერ დამყარდება.

# დამოუკიდებლობის იდეა ინგუშეთშიც ძლიერდება

## „კავკასიაში ბევრი ინტერესანტია“

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინაში ომი ჭიანურდება. ამასთან, რუსეთში არ წყდება პუტინის უკრაინაში შეჭრის შემდეგ გააქტიურებული პროცესები. უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა სხვადასხვა ეთნოსმა დაიწყო ფიქრი და მოქმედება კრემლისგან თავის დასახსნელად. რუსეთის ავტონომიების ნაწილს რეალური დამოუკიდებლობა უნდა, ნაწილს – მეტი უფლებები.

ამ დღეებში უკრაინის რადაში შეიქმნა დროებითი კომისია, რომელიც იმუშავებს რუსეთის მცირე და ძირძველი ხალხების ეროვნულ მოძრაობებთან. კომისიას ხელმძღვანელობს პარტია „გოლოსის“ წევრი იაროსლავ იურჩიშინი. მას რადიო „თავისუფლების“ ჩრდილოეთ კავკასიის ბიურო ესაუბრა.


იაროსლავ იურჩიშინი

***– რატომ შექმენით ეს კომისია?***

– უნდა მოვახდინოთ რუსეთის სწორად შემეცნება. დასავლეთშიც კი რუსეთის კვლევა მოიცავს მხოლოდ მეტროპოლიას, ანუ მოსკოვს და უკეთეს შემთხვევაში – სანკტ-პეტერბურგს. ეთნიკურ რეგიონებს არავითარი ყურადღება არ ექცევა.

დიდი ხნის განმავლობაში უკრაინაში რუსეთს პარტნიორად აღიქვამდნენ და უკრაინაშიც არანაირი კვლევა არ მიმდინარეობდა, რათა გაგვეგო მეტრონომიის ურთიერთობა რეგიონებთან.

რუსეთის ფედერაცია, სინამდვილეში, ფედერაცია არაა, ვინაიდან რეგიონებს არ გააჩნიათ უფლებები და შესაძლებლობები.

რუსეთში არიან ეთნიკური ჯგუფები, რომლებსაც სჭირდებათ დახმარება გადასარჩენად. მაგალითად, ჩუკოტკისა და ციმბირის მცირერიცხოვანი ხალხები.

რუსეთში არსებობს თათარსტანი, ბაშკორტოსტანი, სახა, ტუვა, რომლებსაც დამოუკიდებლობის ისტორიული ფესვები აქვთ.

გვსურს დავამყაროთ ურთიერთობა მცირერიცხოვან ხალხებთან, გავიგოთ მათი მოთხოვნები დემოკრატიზაციის, რეალური ფედერალიზაციის და შესაძლოა, დეზინტეგრაციის მიმართულებით. ჩვენი ფუნქციაა, უკრაინის საზოგადოებას და დასავლელ პარტნიორებს გავაგებინოთ, რომ რუსეთის მოსახლეობა არ არის მარტო ის, ვინც უკრაინის წინააღმდეგ იბრძვის. ყველას უნდა შევატყობინოთ, რომ არიან ისინიც, ვინც დეკოლონიზაციისთვის იბრძვის და ჩვენი მოკავშირეა. მათ მხარი უნდა დავუჭიროთ. ესაა მომავალი დემოკრატიული რუსეთის მომავალი.

განწირული ვართ რუსეთთან სამეზობლოდ. დემოკრატიის გავრცელება ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში ჩვენს ინტერესს შეესაბამება.

***– კომისია დროებითია. რა ამოცანები უნდა შეასრულოს მან, რომ მუშაობა დაასრულოს?***

– კომისიის ამოცანაა შექმნას სახელმწიფოს პოლიტიკის პროექტი რუსეთის დაპყრობილი ხალხების მიმართ. შემდგომი ეტაპი იქნება, შევთავაზოთ საერთაშორისო პარტნიორებს, მიიღონ მსგავსი პოლიტიკა. მსოფლიოში უნდა ჩამოყალიბდეს გაგება, რომ კოლონიალიზმი არ დასრულებულა.

საბჭოთა კავშირმა ხელი შეუწყო ბრიტანეთის, საფრანგეთის, ესპანეთის კოლონიების მსხვრევას, თვითონ კი კოლონიალურ ქვეყნად დარჩა. საბჭოთა კავშირმა ეს მემკვიდრეობით გადასცა პუტინს.

***– რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთში გაჩნდა ბევრი ეროვნული და პოსტკოლონიალური მოძრაობა. თქვენ ვისთან თანამშრომლობთ?***

– ჩვენი კომისიის შექმნის ერთ-ერთი მოტივი გახდა „თავისუფალ ერთა ლიგის“ მომართვა. კარგი კონტაქტები გვაქვს ბაშკორტოსტანის, ყალმუხეთის განმათავისუფლებელ მოძრაობებთან. აქტიურად ვურთიერთობთ „პოსტრუსეთის თავისუფალი ხალხების ფორუმთან“. ასევე ვთანამშრომლობთ „ინგუშეთის დამოუკიდებლობის კომიტეტთან“, რომელიც ახლა იწყებს საქმიანობას.

***– ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებს პრიორიტეტულად განიხილავთ?***

– უკრაინისათვის უფრო გასაგებია ჩეჩნეთი. გვაქვს პირდაპირი კონტაქტები ჩეჩნებთან, რომლებიც უკრაინაში რუსეთის 2014 წლის აგრესიის შემდეგ იბრძვიან. უკრაინის რადამ ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერია აღიარა რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიად. ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიისათვის დიდი პრობლემაა ის, რომ არ არსებობს გადაწყვეტილებების მიღების ერთიანი ცენტრი. სამწუხაროდ, „ფსბ“-მ მოახერხა ჩეჩენი ხალხის გათიშვა. პერსპექტიული გვგონია ინგუშეთში მიმდინარე პროცესები. სხვადასხვა სუბეთნოსური ჯგუფების კონსოლიდაციის მხრივ, ძალიან საინტერესოა მოვლენები დაღესტანში.

კავკასია ჩვენთვის პრიორიტეტულია. ამასთან, გვესმის, რომ ეს მეგა-რთული რეგიონია მრავალი ინტერესანტით. უკრაინას სურს გაიგოს, კავკასიის როგორი განვითარება უნდათ კავკასიელებს.

***– საუბრობთ რუსეთის დაშლაზე. არ გგონიათ, რომ ეს ფრაზა მიესადაგება რუსული პროპაგანდის ნარატივს, რომლითაც რუსეთის მოსახლეობას აშინებენ?***

– შემიძლია ვისაუბრო უკრაინის გამოცდილებიდან გამომდინარე. რუსეთთან დაპირისპირების ჩვენში ძალიან ეშინოდათ. შედეგად მივიღეთ ომი.

რუსეთი ხალხს ქვეყნის დაშლით იმიტომ აშინებს, რომ იცის: რეგიონები მზად არიან, იცხოვრონ დამოუკიდებლად. მოსკოვი თავის მდგომარეობას ინარჩუნებს იმით, რომ აკონტროლებს რესურსებს, რომლებიც რეგიონებმა უნდა განკარგონ. რუსეთის რომელ მოსახლეობას აშინებს კრემლი? იმას, რომელსაც დიადი კოლონიალური რუსეთი უნდა? ასეთი ადამიანები ჩვენი მოკავშირეები არ არიან.

# უკრაინული არმია წინ მიიწევს

რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ცვლილებებია. უკრაინული არმია მტკიცედ ინარჩუნებს ინიციატივას.

შექმნილი ვითარება კრემლის მზარდ შეშფოთებას იწვევს. მოსკოვიც ცდილობს, კონტრზომები მიიღოს. რუსების მოქმედება შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ: 1) დასავლეთელი ობივატელის დაშინება; 2) ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარა.

დასავლელი იბივატელის დაშინება ითვალისწინებს ევროპელი და ამერიკელი ობივატელის დარწმუნებას, რომ ომი გახანგრძლივდება, შესაბამისად, თუ დასავლეთი უკრაინის მხარდაჭერას გააგრძელებს, ეს თითოეული მოქალაქის ჯიბეზე აისახება. ამას პირდაპირ ქადაგებენ პოლიტიკანები: აშშ-ის ექსპრეზიდენტი ტრამპი, კენედი, ე.წ. ექსპერტი მაკ გრეგორი, ფრანგი ფილიპო, უნგრეთის პრემიერი ორბანი და ა.შ.

მსგავსი პოპულიზმითაა გაჟღენთილი ტრამპის, ფილიპოს და სხვათა გამოსვლებიც.

2) პუტინმა განაცხადა: უკრაინა ტერორისტული სახელმწიფოა. ის არაფერს თაკილობს და ამიტომ ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს გამოვიყენებთო. ამრიგად, რუსების პროპაგანდისტული არსენალი არ შეცვლილა, თუმცა, მუქარების უკვე აღარავის ეშინია. ყველას ესმის, რომ ძაღლი, რომელიც ყეფს, არ იკბინება. მუქარაც ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ, რუსების მორიგი ბლეფია და მეტი არაფერი. დღეისათვის ფაქტია, რომ ჩაიშალა პუტინის გეგმა, სექტემბრისთვის აეღო კუპიანსკი. გამომდინარე აქედან, ოკუპანტები ამ ეტაპზე ხარკოვს საფრთხეს ველარ შეუქმნიან. სამაგიეროდ, მოსკოვს რჩება შემდეგი კოზირი: უკრაინის ენერგოსისტემის განადგურება. შესაბამისად, უკრაინული არმიის წინსვლის პროპორციულად, რუსული დაბომბვები გაიზრდება. რუსების მეორე იმედი აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებია. პუტინსაც იმედი აქვს, რომ ტრამპი გაიმარჯვებს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

სამართალი

# სამტრედიაში ყოფილ პოლიციელს შეიარაღებული პირი თავს დაესხა

სამტრედიაში ყოფილ პოლიციელს, ლევან მიგინეიშვილს, ავტომატით შეიარაღებული პირი, ანრი მილორავა, დაესხა თავს.



კაცმა სახლს ესროლა, ტყვია მოხვედრილი აქვს ფანჯრებს, კედლებს. ერთ-ერთი ტყვია მოხვდა ჭერს, რის შედეგადაც სახლში ხანძარი გაჩნდა. გარდა ამისა, მან ყოფილ პოლიციელს თავში შუშის ბოთლი ჩაარტყა.

ყოფილმა პოლიციელმა თავდამსხმელს ცეცხლი გაუხსნა. დაჭრილი კლინიკაშია გადაყვანილი.

ყოფილი პოლიციელი დაკავებულია. უცნობია, რა იყო დაპირისპირების მოტივი.

# კრიმინალური გარჩევა ჩუბინაშვილის ქუჩაზე

თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩაზე, ღამით შეიარაღებული პირი ერთ-ერთ სახლში შეიჭრა. ირკვევა, რომ დაზარალებული, სავარაუდო დამნაშავის მეგობარია.

პირი მეგობარსა და მის ოჯახის წევრებს სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა. დაზარალებული ყვება, რომ გარჩევა, სავარაუდოდ, ნარკოტიკულ საშუალებებს უკავშირდება. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.




სავარაუდო დამნაშავე უკვე დაკავებულია.

– ჩემი შვილიც მოსაშორებელია. წამალი ვერ გაიყვეს ეტყობა, ორი გრამი და იარაღით მოგვივარდა სახლში. აგერ ცხოვრობს ჩემ მეზობლად და ახლა დაკავებული ჰყავთ, არ ვიცი რა ბედი ეწევა, ალბათ დაიცავს კიდევ ეს მთავრობა. ჩემ რძალს მოუშვირა იარაღი ბავშვი უკან ედგა, 6 წლის ბავშვი, – ამბობს ოჯახის წევრი.

# ლაზარე გრიგორიადისს მამის დაჭრის გამო 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

კიდევ ერთი რეზონანსული საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში – მარტის აქციების დროს დაკავებულ ლაზარე გრიგორიადისს 1 წლითა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ახალგაზრდას მამის ბექა გრიგორიადისის დაჭრას ედავებიან.

მოსამართლე ნანი ნაჭყებიას გადაწყვეტილებით, გრიგორიადისისთვის სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 120-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს, ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი ძალადობით გადაკვალიფიცირდა.

საბოლოო ჯამში, გრიგორიადისი დამნაშავედ იქნა ცნობილი 187-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში, რაც მანქანის დაზიანებას გულისხმობს. მას მოსამართლემ 3.000-ლარიანი ჯარიმა დააკისრა, თუმცა მძიმე სასჯელმა აღნიშნული სასჯელი შთანთქა.

# ჯონ კენედის მინიმუმ სამი ადგილიდან ესროლეს

ლი ჰარვი ოსვალდმა მოკლა აშშ-ს პრეზიდენტი კენედი. ის მოქმედებდა მარტო და არ სარგებლობდა არც ერთი სახელმწიფოსა თუ ორგანიზაციის დახმარებით – ასეთია უორენის კომისიის დასკვნა. დღემდე ოსვალდი მარტოხელა მკვლელად ითვლება, მაგრამ ბევრს ეჭვი შეაქვს ამ ვერსიაში.

## დაკომპლექსებული კაცი

ლი ჰარვი ოსვალდი დაიბადა 1939 წელს ნიუ-ორლეანში. მამა ადრე მოუკვდა. დედამ პატარა ლი თავშესაფარში მიაბარა. მართალია, რამდენიმე წლის შემდეგ ქალმა ლი იქიდან წამოიყვანა, მაგრამ თავშესაფარში გატარებულმა წლებმა წარუშლელი კვალი დაამჩნია მის ფსიქიკას. ბიჭი გახდა გულჩათხრობილი, აგრესიული. თანატოლებთან ურთიერთობა უჭირდა. ამიტომაც სკოლაში უხვად ჰქონდა პრობლემები.

ოსვალდის კლასელები და მასწავლებლები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ლი არავისთან მეგობრობდა. სამაგიეროდ, საოცარი აგრესიულობით გამოირჩეოდა. ხშირად ჩხუბობდა და ამ დროს ყოველგვარ ზომიერებას ჰკარგავდა. მას შეეძლო ყელში სწვდომოდა თანაკლასელს, ან გამეტებით გაერტყა მისთვის. სწავლას ოსვალდი ყურადღებას არ აქცევდა. ერთხელ მათემატიკის მასწავლებელმა შენიშვნა მისცა: ლი, ცოტათი მაინც გადაშალე წიგნი, ასე არ შეიძლებაო. ოსვალდმა მიუგო:

– მათემატიკა მხოლოდ ადებილებს ადამიანს. რაც შეეხება წიგნს, მე მოვძებნე ნამდვილი სიბრძნის წიგნი, – ამ სიტყვებით მან წინ დაუდო მასწავლებელს ლენინის ტომი.

კომუნისტურ ლიტერატურას ოსვალდი ჯერ კიდევ სკოლაში დაეწაფა. მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის შრომები მის სამაგიდო წიგნებად გადაიქცნენ. „ესენი ჩემი ერთადერთი მეგობრები არიან, – ამბობდა ოსვალდი, – ადამიანისგან განსხვავებით, წიგნი არასოდეს გიღალატებს". თექვსმეტი წლისა უკვე ამაყად აცხადებდა, რომ კომუნისტია. შეკითხვაზე, კომპარტიის წევრი რატომ არ გახდიო, პასუხობდა:

– ამას არ აქვს მნიშვნელობა. სულით მე კომუნისტი ვარ.

დამსმენი ოსვალდმა ვერ შეძლო სკოლის დამთავრება. 17 წლისამ მან მიატოვა სკოლა და ჯარში წავიდა.

არმიაში ლი ისეთივე მარტოსული იყო, როგორც სკოლაში. არავისთან მეგობრობდა, თუმცა მკაცრი სასჯელის შიშით არც ჩხუბის უფლებას აძლევდა თავს. ოსვალდმა იოლად მიაგნო უდარდელი ცხოვრების საშუალებას. ის სამხედრო კონტრდაზვერვის აგენტი გახდა და ინტენსიურად გადასცემდა მას ინფორმაციებს თანამებრძოლებზე. ამიტომაც ოსვალდი დაუშვეს საიდუმლო შიფრებთან. პარალელურად ლი ინტენსიურად ვარჯიშობდა სროლაში. მალე ის ნამდვილი სნაიპერი გახდა.

## ემიგრაცია სსრკ-ში

სსრკ-ში ოსვალდი ტურისტული ვიზით ჩავიდა. წასვლის წინ დედას უთხრა: მე ალბათ არ დავბრუნდები. სსრკ ჩემი ოცნების ქვეყანაა. ამიტომ მსურს იქ დავრჩე.

სსრკ-ში ჩასვლისთანავე ლიმ ოფიციალურად დააფიქსირა დარჩენის სურვილი. თავდაპირველად მას უარი უთხრეს. პასუხად ოსვალდმა ვენები გადაიჭრა, ის რის ვაი-ვაგლახით გადაარჩინეს და სსრკ-ში ცხოვრების უფლება მისცეს.

ოსვალდი დასახლდა მინსკში და იქაურ რადიოქარხანაში დაიწყო მუშაობა. მართალია, რუსული ენის საფუძვლებს ჯერ კიდევ სამხედრო სამსახურში დაეუფლა, მაგრამ ახლა ეს საკმარისი არ იყო. „მე ვასწავლიდი ოსვალდს რუსულს, – განაცხადა 1992 წელს ბელორუსიის პარლამენტის მაშინდელმა სპიკერმა სტანისლავ შუშკევიჩმა.

რაც შეეხება ოსვალდის მინსკში ცხოვრების დეტალებს, ბევრი რამ აქ დღემდე უცნობია. აშშ-ში დაბრუნებული ოსვალდი ამაზე ძალზე ძუნწად ლაპარაკობდა. „რუსეთში საოცარი მოწყენილობაა", – განაცხადა მან ნაცნობთა წრეში, – ფული მქონდა, მაგრამ არ ვიცოდი, რაში დამეხარჯა".

რადიოქარხანაში ლი ძალიან ცუდად მუშაობდა. ის ხშირად აცდენდა, ამიტომ გაუგებარია, საიდან უნდა ჰქონოდა ბევრი ფული. როგორც ჩანს, ოსვალდი სუკის მზუნველობის ქვეშ იმყოფებოდა, რომელიც მას აშშ-ში დაბრუნებისა და ჯაშუშობისთვის ამზადებდა. თავად ოსვალდი ხმამაღლა გამოთქვამდა იმედგაცრუებას „აღქმული ქვეყნით" და აცხადებდა, რომ შტატებში დაბრუნება სურდა.

სსრკ-ში ოსვალდი დაოჯახდა, ცოლად შეირთო რუსი მარინა პრუსაკოვა. ახალდაქორწინებულებს გამოუყვეს ბინა (თუმცა მაშინ ეს იოლი არ იყო). მალე მათ შეეძინათ გოგონა. ლი კვლავაც ჯიუტად გამოთქვამდა აშშ-ში დაბრუნების ზურვილს. მარინა მას არ ეკამათებოდა.



## სამშობლოში დაბრუნება

ცოლ-ქმარი ოსვალდები მართლაც დაბრუნდნენ აშშ-ში. სსრკ დასავლეთისაგან რკინის ფარდით იყო გამოყოფილი, ოსვალდების მიმართ კი ყველა აკრძალვა მოიხსნა. ამიტომ ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ცოლ-ქმარი აშშ-ში მართლაც ჯაშუშური დავალებით დააბრუნეს, რომ მარინა პრუსაკოვა სინამდვილეში ჩეკისტი იყო და მეუღლესთან ერთად უნდა გაეშალა სადაზვერვო საქმიანობა აშშ-ს ტერიტორიაზე.

რუსებს მხედველობიდან გამორჩათ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ოსვალდი შერყეული ფსიქიკის, თანაც ამბიციური და აგრესიული კაცი იყო. ასეთები კი სადაზვერვო სამსახურში არ გამოდგებიან. სამშობლოში დაბრუნებული ლი პოლიტიკურ მოღვაწეობაში გადაეშვა. მისი სიმპათიის ობიექტი ფიდელ კასტრო გახდა. ოსვალდმა მოძებნა თანამოაზრეები, რომლებთან ერთადაც კასტროს მხარდამჭერი ფურცლების გამოშვება-გავრცელება დაიწყო. როგორც ჩანს, მაშინ ის კონტაქტში შევიდა კუბის საიდუმლო სამსახურთანაც. ასეა თუ ისე, ოსვალდი აქტიურად მონაწილეობდა კუბელთა პროპაგანდისტულ აქციებში. მარინას ყველა მცდელობა მოერჯულებინა ქმარი, მარცხით დასრულდა:

– მე რევოლუციონერი ვარ! გესმის?! რევოლუციონერი! – ყვიროდა ლი.

ცოლ-ქმრის ყოფა გაუსაძლისი გახდა. ლი არამარტო პოლიტიკაში გადაეშვა, არამედ სმაც დაიწყო. მალე მან იყიდა ოპტიკური შაშხანა (აშშ-ში ხომ ეს იოლად შეიძლება). თავზარდაცემულმა მარინამ გაიგო, რომ ლიმ ერთ-ერთ ამერიკელ გენერალს ესროლა, რომელიც ცნობილი იყო, როგორც ულტრამემარჯვენე და ანტისაბჭოელი. საბედნიეროდ, გენერალი გადარჩა. როდესაც ქალმა საყვედური უთხრა, ლი გაცოფდა:

– როგორ ბედავ და ჭკუას მასწავლი! როგორ?!

ოსვალდმა სასტიკად სცემა ცოლს. მალე ცოლ-ქმარი ერთმანეთს დასცილდა. მარინა აგროვებდა ფულს სსრკ-ში დასაბრუნებლად.

ოსვალდმა დალასში, წიგნის საწყობში დაიწყო მუშაობა. ცოლ-შვილს იშვიათად ნახულობდა. ძირითადად პროკასტროული პოლიტიკური მოღვაწეობით იყო დაკავებული. თავისუფალ დროს ვარჯიშობდა სროლაში, აგრეთვე სიამოვნებით უყურებდა ფილმებს, სადაც ნაჩვენები იყო ძალადობა.

## საუკუნის მკვლელობა

მილიონობით ამერიკელმა პირდაპირი ტელეეთერით იხილა პრეზიდენტ კენედის მკვლელობა. მკვლელმა სახურავიდან ისროლა. მალე პოლიცია კვალში ჩაუდგა ოსვალდს. პოლიციელმა ტიპიტმა სცადა მისი დაკავება, მაგრამ ამაოდ, ოსვალდმა ის სასიკვდილოდ დაჭრა. თუმცა მკვლელმა ვერ შეძლო მიმალვა. ის დააპატიმრეს.

## აღსასრული

დაპატიმრებულ ოსვალდს დიდხანს არ უცოცხლია. ის მოკლეს მაშინ, როდესაც ერთი ციხიდან მეორეში გადაჰყავდათ. ეს მართლაც გასაოცარია, რადგან კენედის მკვლელს გაძლიერებულად იცავდნენ. პოლიციამ დამნაშავე იქვე შეიპყრო. ეს გახლდათ პროფესიონალი განგსტერი ჯეკ რუბი.

– რატომ გააკეთე ეს? – შეეკითხნენ პოლიციელები რუბის.

– მე ძალიან მიყვარდა ჩვენი პრეზიდენტი. მეცოდებოდა მისი ცოლი. ამიტომაც შური ვიძიე, – მიუგო რუბიმ.

ჯეკ რუბი ციხეში გარდაიცვალა. ეს მოხდა რამდენიმე წლის შემდეგ. კიბო – ასეთია ოფიციალური დიაგნოზი.

## კენედის მკვლელობის ვერსიები

უორენის კომისიის დასკვნისა ბევრს არ სჯეროდა. აშშ-იც და სსრკ-შიც გამოითქვა კენედის მკვლელობის რამდენიმე ვერსია. რუსები შეეცადნენ ყველაფერი ეს ანტიამერიკული პროპაგანდის სქემაში მოეთავსებინათ. ასე გაჩნდა ვერსია, რომლის თანახმად, კენედი ტეხასელი ნავთობმაგნატის შეთქმულების მსხვერპლი შეიქმნა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ს პრესაში გამოჩნდა დაზვერვის რამდენიმე ვეტერანის სტატია. ისინი ამტკიცებდნენ, რომ კენედის წინააღმდეგ შეთქმულება ფიდელ კასტრომ მოაწყო. კენედიმ შეურიგებელი პოზცია დაიკავა კასტროს მიმართ. პასუხად კუბის დიქტატორმა განახორციელა დარტყმა მის წინააღმდეგ. ოსვალდი წარმოადგენდა ფიგურას, რომელიც განტევების ვაცად უნდა ქცეულიყო. შესაძლოა, ამიტომ ის საგანგებოდ გაიტყუეს დანაშაულის ადგილას. შესაძლოა, ოსვალდმა მართაც ესროლა კენედის. მეტიც, ის ბედნიერი იყო, რომ ასეთ „დიად" საქმეში მიიღო მონაწილეობა. თუმცა ის არ ყოფილა ერთადერთი მკვლელი. კენედის მინიმუმ სამი მხრიდან ესროლეს. ჯოხი კი გაუწონასწორებელ ოსვალდზე გადატყდა და ამან სხვა დამნაშავეები დაიფარა.

– კი მაგრამ, თუკი ამდენი იცოდით, რატომ სდუმდით?

– ხელმძღვანელობას ყოველივე მოვახსენეთ. მათ გვიპასუხეს: ბიჭებო, თქვენ რა, მესამე მსოფლიო ომი გინდათ? კუბელების უკან ხომ რუსები დგანან!

## ლიპსკომბის კომისიის სკანდალური დასკვნა

2007 წელს ლიპსკომბის კომისიამ კვლავ შეისწავლა პრეზიდენტ კენედის მკვლელობის საქმე. კომისიამ დაადგინა, რომ ფილმი, რომლითაც ხელმძღვანელობდა უორენის კომისია, ვილაცვილაცეების მიერ საფუძვლიანად იქნა „გადარეცხილი". კომისიამ დაადგინა ისიც, რომ პრეზიდენტ კენედის მართლაც მინიმუმ სამი მხრიდან ესროლეს.

„შეთქმულება ნამდვილად არსებობდა", – ასეთი იყო კომისიის დასკვნა, – პრეზიდენტი კენედი არა მარტოხელა მკვლელის, არამედ ორგანიზებული შეთქმულების მსხვერპლი აღმოჩნდა".

ბუნებრივია, გაჩნდა კითხვა: ვინ მოაწყო აღნიშნული შეთქმულება?

რადგან გამოირცხა მაფიის ან ტეხასელი ნავთობმაგნატის ვერსია, რჩებოდა ერთი: შეთქმულება ფიდელ კასტრომ მოაწყო. როგორც ჩანს, კუბელი დიქტატორი ამაზე დამოუკიდებლად წავიდა. მაგრამ კასტრო ვერასდიდებით ვერ გადადგამდა ასეთ ნაბიჯს, რომ არა მოსკოვის მხარდაჭერა. ასე თვლიდა ბევრი. თუმცა ამ ვერსიას უამრავი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა თავად აშშ-შიც. გამომდინარე აქედან, ეჭვი იქნა შეტანილი თავად ლიპსკომბის კომისიის მუშაობაშიც.

– ეს არის ცალკეული ჯგუფის მოსაზრება. მას უდავოდ გააჩნია არსებობის უფლება, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ეს ჭეშმარიტებაა, – აშშ-ში ასეთი მოსაზრება ბევრს ჰქონდა. დისკუსიები ამის თაობაზე დღემდე გრძელდება.

## ეპილოგი

ვინ იყო ლი ჰარვი ოსვალდი? უწინარეს ყოვლისა, ხელმოცარული, დაკომპლექსებული კაცი, რომელიც თანამშრომლობდა ჯერ აშშ-ს სამხედრო კონტრდაზვერვასთან, შემდეგ სუკთან და კასტროს სპეცსამსახურებთანაც. ისეთები, როგორიც ოსვალდია, ჩვეულებრივ განტევების ვაცის როლში გამოდგებიან. მათ შეუძლებელია დაავალო სერიოზული საქმე. სამაგიეროდ, ოსვალდებს ძალუძთ სხვას გაუკაფონ გზა, ან თავისი პერსონით დაფარონ ნამდვილი დამნაშავენი. ამიტომაც ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ოსვალდი ამ კუთხით გამოიყენეს. ასე დახვეწილად კი მხოლოდ სპეცსამსახურები მუშაობენ. ასევე არსებობს საფუძველი დასკვნისა, რომ ეს კუბის სპეცსამსახური იყო, მაგრამ ლოგიკური დასკვნა ჯერ არ ნიშნავს ჭეშმარიტების დადგენას.

## კალეიდოსკოპი



### გველების მოყვარული პითონთან ერთად სერფინგისთვის დააჯარიმეს

ავსტრალიის მკვიდრი, რომელიც სერფინგით თავის შინაურ პითონთან ერთად იყო დაკავებული, ცხოველის მოვლის ლიცენზიის პირობების დარღვევისთვის დააჯარიმეს.

ჰიგორ ფიუზამ და მისმა რომბისებურმა პითონმა, სახელად შივამ, ადგილობრივ მცხოვრებთა შორის პოპულარობა მას შემდეგ მოიხვეჭეს, როდესაც ავსტრალიელმა განაცხადა, რომ ქალაქ გოლდ-კოსტის სანაპიროსთან სერფინგით სრიალის დროს ყოველთვის თან მიჰყავს თავისი პითონი. მან ასევე გამოაქვეყნა ვიდეორგოლი, რომელზეც ჩანს, თუ როგორ სრიალებს ის სერფით პითონთან ერთად. ამის გამო, ბევრმა ინტერნეტ-მომხმარებელმა ფიუზი გააკრიტიკა. ბევრმა მათგანმა განაცხადა, რომ ის ცხოველს ტკივილს აყენებს. ამის პასუხად კი მამაკაცმა აღნიშნა, რომ შივას უყვარს ცურვა.

– როდესაც მას რაიმე არ მოსწონს, ის იწყებს სისინს. წყალში კი ის ამას არ აკეთებს და ყოველთვის მშვიდია, – განუცხადა მან ჟურნალისტებს.

მალე ფიუზის საქციელმა გარემოს დაცვის და მეცნიერების დეპარტამენტის ყურადღება მიიპყრო. დეპარტამენტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მამაკაცს არ ჰქონდა გველის სახლიდან გამოყვანის უფლება. გამონაკლისს მხოლოდ ვეტერინართან ვიზიტი, გაყიდვა ან რეპტილიების გამოფენაში მონაწილეობა წარმოადგენს. ამის გამო ფიუზს ჯარიმის სახით 2,3 ათასი ავსტრალიური დოლარი გამოუწერეს.

### ჯონი დეპის ქალიშვილმა ქუჩაში შიშველ სხეულზე მოსხმული გამჭვირვალე კარდიგანით გაისეირნა



ფრანგულ-ამერიკული წარმომავლობის მოდელი ლილი-როუზ დეპი საზოგადოებაში ეროტიკულ სამოსში გამოწყობილი გამოჩნდა და პაპარაცების ყურადღება მიიქცია.

ამერიკელი მსახიობის ჯონი დეპის და ფრანგი მომღერლის და მსახიობის ვანესა პარადის 24 წლის ქალიშვილმა ლოს-ანჯელესის ქუჩებში თეთრი ფერის გამჭვირვალე კარდიგანსა და დაბალწელიან ჯინსებში გამოწყობილმა გაისეირნა, რომელიც შიშველ სხეულზე ჰქონდა მოცმული. ფეხზე ლილი-როუზს ბალეტის ფეხსაცმელი ეცვა, ხელში კი სასმელით სავსე კათხა და სიგარეტი ეჭირა. კადრებში ჩანს, რომ გოგონას თმები გაშლილი აქვს, ხოლო სახეზე მსუბუქი მაკიაჟი აქვს გაკეთებული. აქსესუარებიდან კი მას საყურეები და ყელსაბამი ამშვენებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მედიცინა

### კენჭოვანი დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით



**ნაღვლმდენი გზებისა და ნაღვლის ბუშტის დაავადების დროს:**

● ნაღვლისდენის გამაძლიერებელი ჩაი კეთდება შემდეგნაირად: 400 მლ წყალზე იღებენ 10 გრამ შემდეგი ბალახის ნარევს. 3 გრამი ნეგოს ყვავილი, 3 გრამი სამყურას ფოთოლი, 2 გრამი პიტნის ფოთოლი, 2 გრამი ქინძის თესლი, 1 ჩაის კოვზ ნარევს ასხამენ 2 ჭიქა მდუღარე წყალს და თავდახურული ჭურჭლით 20 წუთს დგამენ, წურავენ, აგრილებენ და თბილ მდგომარეობაში სვამენ ნახევარ-ნახევარ ჭიქას დღეში სამჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

● აიღეთ 50 გრამი სიმინდის თმა (3 სადილის კოვზი), დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ. დალიეთ 1-2-ჯერ დღეში საჭმლის მიღებიდან დამოუკიდებლად.

– აიღეთ ჟასმინის ან შავი ჩაის ნებისმიერი რაოდენობა, მოათავსეთ ჭურჭელში, დაასხით 1 ჭიქა წყალი, მიიყვანეთ ადუღებამდე, შემდეგ დააყენეთ 5-7 წუთი, გაწურეთ. ნაყენი დალიეთ პატარა ყლუპებით.

● 30 გრამი ყვითელი ნიგვზისძირას ფესვებს დაასხით 240 გრამი მდუღარე წყალი. მიიღება თითო ჩაის კოვზი ყოველ 2 საათში. კარგია მისი ღვინოზე ნაყენიც. 60 გ ფესვებს ასხამენ 0,5 ლიტრ ღვინოს, რამდენიმე დღის შემდეგ იღებენ თითო სუფრის კოვზს დღეში ორჯერ.

● ერთი მუჭა წითელი მოცვის ფოთოლს 3 ჭიქა წყალზე აყენებენ და 10 წუთს ადუღებენ, რომელსაც 1 დღის განმავლობაში სვამენ 3 ნაწილად.

● ნაღველი გამოიყოფა 18 საათიდან 18 საათამდე, 18 საათიდან 19 საათამდე უნდა დალიოთ 1-2 ჭიქა წყალი ყოველდღე თვენახევრის განამავლობაში – წყალი ჩარეცხავს ნაღველს და კენჭებიც არ გაჩნდება.

● თუ ნაღვლის ბუშტში კენჭები გაქვთ, შეგიძლიათ დღის განმავლობაში დალიოთ 10-12 ლიმნის წვენისა და 1,5 ლიტრი სტაფილოს, ჭარხლისა და კიტრის წვენის ნარევი. 1-2 დღეში დაგეწყებათ ძლიერი ტკივილი 10-15 წუთიანი შეტევებით. მე-6 დღეს დგება კრიზისი. მერე ტკივილი ჩაცხრება და ქვები გაქრება. ძლიერი ტკივილისას შეგიძლიათ გამაყუჩებელი მიიღოთ.

● აიღეთ 50 სიმინდის ულვაში (3 სადილის კოვზი), დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე, დააყენეთ. დალიეთ 1-2-ჯერ დღეში, საკვების მიღებისგან დამოუკიდებლად.

● ნაღვლის ბუშტის და შარდსადინარი გზების გასუფთავებამდე ერთი დღით ადრე მიიღეთ ბალახების ნაკრები, რომელსაც გამხსნელი მოქმედება აქვს, ან „გუტალაქსი". საღამოს გაიკეთეთ გამასუფთავებელი ოყნა და არაფერი ჭამოთ. მეორე საღამოს დალიეთ 100-150 გრამი შემთბარი ზეითუნის ზეთი და დააყოლეთ ლიმონი ან მჟავე კიტრი, დაიდეთ ღვიძლის არეში სათბურა, დაწექით მარჯვენა მხარეს. ორი საათის შემდეგ კვლავ დალიეთ ზეითუნის ზეთი, შეჭამეთ ლიმონი და დაიძინეთ. დილით გაიკეთეთ ოყნა. კენჭები უმტკივნეულოდ დაიბადება.

## ბაიდენი მიჩიგანის შტატში ჩავიდა



აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი მიჩიგანის შტატში ჩავიდა. იქ ახლა მიმდინარეობს ავტომრეწველობის მუშაკთა გაფიცვა. ბაიდენმა გაფიცულებს მხარდაჭერა გამოუცხადა.

მუშებმა ბაიდენი ტაშით გააცილეს. დღეს მიჩიგანს ექსპრეზიდენტი ტრამპი ესტუმრება და გაფიცული მუშების წინაშე გამოვა.

## უკრაინულმა არმიამ ბახმუტ-გორლოვკის ტრასა ცეცხლოვანი კონტროლის ქვეშ აიყვანა



რუსეთ-უკრაინის ფრონტზე სასიამოვნო ცვლილებებია. ფრონტის ყველაზე რთულ უბანზე კუპიანსკთან ვითარება უცვლელია. რუსი ოკუპანტები კვლავ შეტევაზე გადასვლას ცდილობენ, მაგრამ ამაოდ. ისინი იძულებულნი არიან უკან დაიხიონ. მსგავსი ვითარებაა ლიმანთანაც. აქაც მარცხით მთავრდება რუსების წინ წასვლის ყველა მცდელობა.

ბახმუტის რაიონში უკრაინელებს სერიოზული წარმატებები აქვთ. უკრაინულმა არმიამ ცეცხლოვანი კონტროლის ქვეშ აიყვანა სტრატეგიული დანიშნულების ტრასა ბახმუტი-გორლოვკა.

უკრაინელებმა აიძულეს რუსები, კლესჩიევკის მიდამოებიდანაც უკან დაეხიათ.

## კურსკი: უკრაინელებმა ფსბ-ს შენობა ააფეთქეს



უკრაინელებმა ამჯერად კურსკს დაარტყეს. ამის შესახებ იტყობინება კურსკის გუბერნატორი პუსტოვოიტი.

ქალაქი კვამლშია გახვეული. კომენტატორები ერთ საინტერესო ფაქტს უსვამენ ხაზს: დარტყმა კურსკზე მაშინ მოხდა, როცა ქალაქის დღეს აღნიშნავდნენ.

ოდიოზურმა რუსმა პროპაგანდისტმა სოლოვიოვმა კვლავ მოუწოდა პუტინს, რომ უკრაინის წინააღმდეგ ტაქტიკური ბირთვული იარაღი გამოიყენოს.

## დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია:

ტანკები – 4.662, საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 8.914, არტილერია – 6.233, თვითმფრინავები – 315.

განადგურებულია – 275.850 ოკუპანტი. რუსების პასუხმა არ დაახანა. დაიბომბა ხერსონი, ოდესა, ნიკოლაევი, ბახმუტი, კლესჩივკა და ანდრიევკა. დანგრეულია სახლები. მშვიდობიან მოსახლეობაში არის მსხვერპლი. ოდესაში რუსებმა მარცვლეულის საწყობს დაარტყეს. რუსული რაკეტით დანგრეულია სასტუმრო, თუმცა დაბომბვისას იქ არავინ იმყოფებოდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

## ყველაზე სექსუალურმა მეცნიერმა ზვიგენთან ერთად იცურავა

მკვლევარმა, მწერალმა და ბიკინი-მოდელმა როზი მურმა, რომელსაც „მსოფლიოში ყველაზე მეცნიერს" უწოდებენ, უზარმაზარ ვეფხვისებრ ზვიგენთან ერთად იცურავა.



26 წლის მურმა სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე განათავსა ვიდეორგოლი, რომელშიც ჩანს, რომ ის წყლის სიღრმეში სამ მეგობართან ერთად ყვინთავს. გარკვეული დროის შემდეგ კადრში ჩნდება ვეფხვისებრი ზვიგენი და ქალები გარკვეული დროის განმავლობაში მის გვერდით დაცურავდნენ. მან აღნიშნულ ვიდეოს შემდეგ კომენტარი დაურთო: „უბრალოდ, გოგონები გოგონების საქმით არიან დაკავებულები". მის მეორე ვიდეორგოლში კი ზვიგენი ორ მყვინთავს შორის მიცურავს. თავად მურის თქმით, ის ძმებთან მისურის შტატში იზრდებოდა და ბევრ დროს ბუნებაში ატარებდა. ის ჯერ კიდევ ბავშვობაში მიხვდა, რომ მას ცხოველები იზიდავდა, ყველაზე მეტად კი ზვიგენები აინტერესებდა.

– ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ზვიგენები ყველაზე მაგარი არსებები არიან. ვოცნებობდი ფლორიდაში ჩასვლასა და მათთან მუშაობაზე, – აღნიშნა მურმა. 20 წლის მურმა ფლორიდის ატლანტიკის უნივერსიტეტში დაიწყო სწავლა და ეკოლოგიის შესწავლით დაკავდა. შემდეგ სწავლა ასპირანტურაში გააგრძელა და უფრო მეტი ყურადღება წყლის რესურსების, გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების და დედამიწის დისტანციური ზონდირების ტექნოლოგიების შესწავლას დაუთმო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

## სულამანიძის ოქროს ამბავი



ბაქოს გრანდ სლემის ბოლო საშეჯიბრო დღეს ქართული ოქროც გამოჩნდა – ილია სულამანიძემ (100 კგ) ფინალში რუსი მატვეი კანიკოვსკი დაამარცხა და კვარცხლბეკის მთავარ საფეხურზე შედგა.

ფინალამდე სულამანიძემ რუსი ნიაზ ბილალოვი, ბრიტანელი რის ტომპსონი, ხორვატი ზლატკო კუმრიჩი და ფრანგი ორელინ დისე დაამარცხა. ფინალი კი, შეხვედრის დასრულებამდე 8 წამით ადრე მოიგო.

გურამ თუშიშვილი (+100) ვერცხლს დასჯერდა. ჩვენებურმა ტაჯიკი მანსურ რაჰიმოვი, რუსი ტამერლან ბაშაევი და ყაზახი იერასილ კაჟიბაევი კი დაამარცხა, მაგრამ ფინალში ასევე რუს ინალ ტასოევთან დამარცხდა.

ამავე წონაში გელა ზაალიშვილმა გერმანელი ერიკ აბრამოვისა და აზერბაიჯანელი ჯამალ გამზათხანოვის დამარცხების შემდეგ, ნახევარფინალი ტასოევთან წააგო, ხოლო ბრინჯაოსთვის ბრძოლა ბაშაევთან და უმეღლოდ დარჩა. ეს საქართველოს მეორე მედალია ბაქოს გრანდ სლემზე, სადაც პირველ საშეჯიბრო დღეს ვერცხლი ეთერ ლიპარტელიანმა მოიპოვა.

## მსოფლიო ოქრო ლიცენზიის გარეშე



სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს დელეგაციამ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოქროს მედალი კი მოიპოვა, მაგრამ მთლიანობაში დიდ შედეგად ვერ ჩავუთვლით. ლერი აბულაძე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მაგრამ ეს არასალიცენზიო წონაში მოხდა.

63 კგ წონით კატეგორიის ფინალში აბულაძემ აზერბაიჯანელ მურად მამადოვს (2:2) ბოლო ქულის უპირატესობით აჯობა.

ოქროს მედლამდე აბულაძემ თურქი ენეს ბასარი (4:3), უკრაინელი ოლექსანდრ ჰრუშინი (1:1) და ფრანგი სტეფან კლემენი (3:1) დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ აბულაძე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ზედიზედ მესამედ გავიდა და პირველად მოიგო.

სამწუხაროდ, ეს წონა ოლიმპიურ თამაშებში შეტანილი არ არის, სალიცენზიო ქულებში კი, ქართველები ვერ მოხვდნენ... ეს კი მინიმუმ ხუთეულს ნიშნავდა...

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

## კაილი ჯენერი უმაკიაჟოდ გამოჩნდა



ამერიკელმა ტელევარსკვლავმა კაილი ჯენერმა საკუთარი სახე უმაკიაჟოდ გამოაჩინა და ამით თაყვანისმცემლები გაახარა.

26 წლის მეწარმემ ვიდეო ჩაწერა, რომლის დასაწყისში ის ჩალისფერ გრძელმკლავიან მაისურშია გამოწყობილი. გამოქვეყნებულ კადრებში ჩანს, რომ ტელევარსკვლავს სახეზე მაკიაჟი არ უკეთია. შემდეგ მან ხელში აიღო საცხი და მისი კანზე წასმა დაიწყო.

თაყვანისმცემლები ჯენერის უმაკიაჟო გარეგნობამ აღაფრთოვანა და მისთვის საქებარი სიტყვები საკუთარ კომენტარებში არ დაუშურებიათ.

– ისეთი ლამაზია უმაკიაჟოდ, – დაწერა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

– როგორი სუფთა კანი აქვს უმაკიაჟოდაც, – აღნიშნა მეორემ.

– ბრწყინვალედ გამოიყურები, – აღფრთოვანება ვერ დამალა კიდევ ერთმა თაყვანისმცემელმა.

## ძროხების თავდასხმის შედეგად მამაკაცი საავადმყოფოში მოხვდა



ბრიტანელი მამაკაცი მას შემდეგ გადაიყვანეს შვეულმფრენით საავადმყოფოში, როდესაც მას ძროხების ნახირი დაესხა თავს.

56 წლის მამაკაცი და მისი თანმხლები ორი ქალბატონი კინაღამ ძროხების ნახირმა გადათელა იმ დროს, როდესაც ისინი შოტლანდიის კუნძულ ბარას პლაჟს ათვალიერებდნენ.

ადგილობრივი პოლიციის მონაცემებით, შაბათს, 16 სექტემბრის საღამოს, მათ მიიღეს შეტყობინება იმის თაობაზე, რომ დასახლება ეოლიგარის მახლობლად მამაკაცმა და ორმა ქალმა დაზიანებები მიიღეს ნახირთან შეჯახების შედეგად. ამასთან მამაკაცს ძლიერი დარტყმა ჰქონდა მიყენებული მკერდის არეში. ის სასწრაფოდ შვეულმფრენით იქნა გადაყვანილი ქალაქ გლაზგოს ერთ-ერთ საავადმყოფოში.

ასევე სამედიცინო შემოწმებაზე იქნენ გადაყვანილი მამაკაცის თანმხლები ქალებიც. მოგვიანებით სამივე მათგანი საავადმყოფოდან გამოეწერა. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

## მამაკაცმა უნიკალური ორი ათასი წლის მონეტა იპოვა



გერმანიაში მამაკაცმა მდინარის პირას იპოვა უნიკალური კელტური მონეტა, რომლის ასაკი ორი ათას წელს აღემატება.

უიშვიათესი მონეტა მდინარე ლეხის ნაპირზე იქნა ნაპოვნი, ქალაქ მიუნხენიდან 70 კილომეტრში. ის დამზადებული იყო ჩვენ წელთაღრიცხვამდე მე-2 ან პირველ საუკუნეში. ამგვარ მონეტებს „ცისარტყელასებრ თასებს" უწოდებენ, ვინაიდან ისინი ოქროს ან ვერცხლისგან მზადდებოდა და მოღუნული თასის ფორმა ჰქონდა. ლეგენდის თანახმად, ასეთი მონეტები ძვირფასი ლითონის წვეთებად ითვლებოდა, რომლებიც ცისარტყელიდან იყო ჩამოვარდნილი.

გერმანიაში ნაპოვნი მონეტა დაახლოებით ორ გრამს იწონის. მასზე გამოსახულია ოთხწვერიანი ვარსკვლავი და რკალები ერთ მხარეს და სტილისტირებული ადამიანის თავი „დიდი თვალით", მეორე მხარეს. ამ დროისთვის ისტორიკოსებისთვის „ცისარტყელასებრი თასის" სულ სამი მონეტაა ცნობილი ამგვარი გამოსახულებებით.

როგორც ბავარიის სახელმწიფო არქეოლოგიური კოლექციის ნუმიზმატიკის განყოფილების უფროსმა მცველმა ბერნვარდ ზიგაუსმა განაცხადა, მეცნიერებისთვის ზუსტად არ არის ცნობილი, თუ რას ნიშნავს მონეტებზე გაკეთებული გამოსახულებები. არის ვარაუდი, რომ ოთხწვერიანი ვარსკვლავი სამყაროს ოთხი კუთხის სიმბოლოს წარმოადგენს, ხოლო რკალები ჰორიზონტს ან მზის და მთვარის ამოსვლას და ჩასვლას.

ამ დროისთვის მეცნიერები ნაპოვნი მონეტის შესწავლას აგრძელებენ, ხოლო 2024 წლიდან ის ბავარიის სახელმწიფო არქეოლოგიური კოლექციის მუდმივ ექსპოზიციაში იქნება წარმოდგენილი.

## პლაჟზე მეხის დაცემამ ორი ადამიანი იმსხვერპლა



მექსიკის მიჩოაკანის შტატში აკვილას პლაჟზე მეხი თავს დაატყდა ტურისტებს. ამ ტრაგიკული შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა.

გადაღებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ ეცემა მეხი რამდენჯერმე პრაქტიკულად ერთსა და იმავე ადგილზე.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პირველად მეხი ქალს დაეცა და ის ადგილზევე დაიღუპა. ასევე სტიქიამ იმსხვერპლა მამაკაციც, რომელიც დაღუპული ქალის მახლობლად იმყოფებოდა. ის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, თუმცა მისი გადარჩენა ექიმებმა ვეღარ მოახერხეს. მეხი კიდევ ერთ ქალს დაეცა, თუმცა ის გადარჩა.

## უიშვიათესი ვიდეოთამაში გასაყიდადაა გამოტანილი



ონლაინ-მაღაზია eBay-ში ვიდეოთამაშის Duck Hunt-ის უიშვიათესი ვერსია გამოჩნდა, რომელიც Nintendo Entertaiment System-თვისაა განკუთვნილი.

გასაყიდად 1984 წლის ვერსიაა გამოტანილი, რომელიც ჰონკონგისთვის ინგლისურ ენაზეა გამოშვებული ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ის დასავლეთის ბაზრისთვის გამოვიდოდა. ამ გამოშვების განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი კარტრიჯის შეფუთვა ლურჯი ფერისაა, მაშინ როდესაც, ამერიკის და ევროპისთვის გამოშვებული შავი ფერის შეფუთვით იყიდებოდა.

ვიდეოთამაშის გამყიდველ კანადელს მისი 69,3 ათას კანადურ დოლარად გაყიდვა სურს. აღსანიშნავია, რომ კარტრიჯი იდეალურთან მიახლოებულ მდგომარეობაში იმყოფება, თუ არ ჩავთვლით შეფუთვაზე ოდნავ გახუნებულ ლურჯ ფერს. გამყიდველის წარმომადგენლის თქმით, ის ერთადერთი ძვირფასეულობაა, რომლის თამაში ჯერ კიდევ ჩრდილოეთ ამერიკაში გამოჩენამდე იქნა გამოშვებული.

## წყვილი სექს-სათამაშოების კოლექციით გამდიდრდა



წყვილმა, რომელიც ვიდეოებს ქმნის OnlyFans-თვის, სექს-სათამაშოების კოლექცია შეაგროვა და გამდიდრდა.

შარლოტა და კალუმ გრეები ერთმანეთს 2018 წლიდან ხვდებიან. იმ დროს შარლოტა ჰოსპისში მუშაობდა, ხოლო კალუმი – მექანიკოსად ავტოსახელოსნოში. გარკვეული დროის შემდეგ წყვილმა იქორწინა. მალევე შარლოტამ გადაწყვიტა, რაიმე სიახლე შემოეტანა მათ სქესობრივ ურთიერთობებში. თუმცა, ეჭვიანობის გამო, საწოლში კიდევ ერთი ქალის შემოყვანა არ სურდა. ამიტომ მან გადაწყვიტა, მეუღლისთვის სექს-თოჯინა ეყიდა, რათა კალუმი კმაყოფილი დარჩენილიყო, როდესაც თავად სათანადო განწყობაზე არ იქნებოდა. ეს იდეა ისეთი მშვენიერი გამოდგა, რომ მალე ქალმა მამაკაცი სექს-თოჯინა უკვე თავისთვის შეიძინა. მათ სექს-თოჯინებს დი და ენრიკე დაარქვეს. მაშინ გრეები ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ამ ყველაფრის წყალობით გამდიდრდებოდნენ.

2021 წლიდან ცოლ-ქმარმა თავიანთი თოჯინების გამოყენებით ეროტიკული ვიდეოების გადაღება დაიწყეს. ისინი მალევე მიხვდნენ, რომ ასეთი ვიდეორგოლები საკმაო პოპულარობით სარგებლობდნენ და საკუთარი კოლექციის უცნაური და უჩვეულო ეგზემპლარებით შევსება დაიწყეს. პირველივე თვეს წყვილმა 92 ათასი ფუნტი სტერლინგი გამოიმუშავა.

დღეისთვის წყვილს 50-ზე მეტი არატიპიური სექს-სათამაშო აქვს, რომელთა შორისაა, ქათმის უზარმაზარი სილიკონის ფრთა, 90 სანტიმეტრიანი საცეცები, ასევე ანალური საცობი მულტფილმ „შრეკის" სტილში. გრეებს ცალკე სტუდიის აშენებაც კი დასჭირდათ საკუთარი სახლის ეზოში სექს-სათამაშოების შესანახად. ამ დროისთვის წყვილს სოციალურ ქსელში შვიდი ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავთ და დღეში მათი შემოსავალი დაახლოებით 15 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ქრონიკული ბიბლიოთეკა

## შედეგები

### 24 სექტემბერი
### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-ტოტენჰემი ..... 2:2
ბრაიტონი-ბორნმუთი ..... 3:1
ლივერპული-ვესტ ჰემი ..... 3:1
ჩელსი-ასტონ ვილა ..... 0:1
შეფილდი-ნიუკასლი ..... 0:8

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 6 | 6 | 0 | 0 | 16-3 | 18 |
| 2.ლივერპული | 6 | 5 | 1 | 0 | 15-5 | 16 |
| 3.ბრაიტონი | 6 | 5 | 0 | 1 | 18-8 | 15 |
| 4.ტოტენჰემი | 6 | 4 | 2 | 0 | 15-7 | 14 |
| 5.არსენალი | 6 | 4 | 2 | 0 | 11-6 | 14 |
| 6.ასტონ ვილა | 6 | 4 | 0 | 2 | 12-10 | 12 |
| 7.ვესტ ჰემი | 6 | 3 | 1 | 2 | 11-10 | 10 |
| 8.ნიუკასლი | 6 | 3 | 0 | 11 | 8-7 | 9 |
| 9.მანჩესტერი | 6 | 3 | 0 | 3 | 7-10 | 9 |
| 10.კრ.პალასი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-7 | 8 |
| 11.ფულემი | 6 | 2 | 2 | 2 | 5-10 | 8 |
| 12.ნოტიმგემი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |
| 13.ბრენტფორდი | 6 | 1 | 3 | 2 | 9-9 | 6 |
| 14.ჩელსი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-6 | 5 |
| 15.ევერტონი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 |
| 16.ვულვზი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-12 | 4 |
| 17.ბორნმუთი | 6 | 0 | 3 | 3 | 5-11 | 3 |
| 18.ლუთონი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-11 | 1 |
| 19.ბარნლი | 5 | 0 | 1 | 4 | 4-13 | 1 |
| 20.შეფილდი | 6 | 0 | 1 | 5 | 5-17 | 1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

სტოკი-ჰალი ..... 1:3
სანდერლენდი-იფსვიჩი ..... 0:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-ჰაიდენჰაიმი ..... 4:1
აინტრახტი-ფრაიბურგი ..... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 5 | 4 | 1 | 0 | 18-4 | 13 |
| 2.ლევერკუზენი | 5 | 4 | 1 | 0 | 17-6 | 13 |
| 3.შტუტგარტი | 5 | 4 | 0 | 1 | 17-7 | 12 |
| 4.ლაიფციგი | 5 | 4 | 0 | 1 | 14-4 | 12 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 5 | 4 | 0 | 1 | 12-6 | 12 |
| 6.დორტმუნდი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-5 | 11 |
| 7.ვოლფსბურგი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-6 | 9 |
| 8.აინტრახტი | 5 | 1 | 4 | 0 | 4-3 | 7 |
| 9.ფრაიბურგი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-10 | 7 |
| 10.უნიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 9-9 | 6 |
| 11.ვერდერი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-10 | 6 |
| 12.აუგსბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 9-13 | 5 |
| 13.ჰაიდენჰაიმი | 5 | 1 | 1 | 3 | 9-13 | 4 |
| 14.ბოხუმი | 5 | 0 | 3 | 2 | 4-16 | 3 |
| 15.გლადბახი | 5 | 0 | 2 | 3 | 8-13 | 2 |
| 16.კიოლნი | 5 | 0 | 1 | 4 | 4-9 | 1 |
| 17.დარმშტადი | 5 | 0 | 1 | 4 | 6-16 | 1 |
| 18.მაინცი | 5 | 0 | 1 | 4 | 4-14 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კაიზერი-ჰანზა ..... 3:1
ფორტუნა-ჰანოვერი ..... 1:1
კილი-ჰერტა ..... 2:3

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სოსიედადი-ხეტაფე ..... 4:3
რაიო-ვილიარეალი ..... 1:1
ბეტისი-კადისი ..... 1:1
ლას პალმასი-გრანადა ..... 1:0
ატლეტიკო-რეალი ..... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 6 | 5 | 1 | 0 | 16-6 | 16 |
| 2.ხირონა | 6 | 5 | 1 | 0 | 16-7 | 16 |
| 3.რეალი | 6 | 5 | 0 | 1 | 11-6 | 15 |
| 4.ბილბაო | 6 | 4 | 1 | 1 | 11-4 | 13 |
| 5.ატლეტიკო | 5 | 3 | 1 | 1 | 13-5 | 10 |
| 6.ვალენსია | 6 | 3 | 1 | 2 | 9-6 | 10 |
| 7.რაიო | 6 | 3 | 1 | 2 | 8-10 | 10 |
| 8.სოსიედადი | 6 | 2 | 3 | 1 | 12-10 | 9 |
| 9.ხეტაფე | 6 | 2 | 1 | 4 | 8-11 | 7 |
| 10.ბეტისი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-11 | 8 |
| 11.კადისი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-8 | 8 |
| 12.ოსასუნა | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| 13.ვილიარეალი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-11 | 7 |
| 14.ალავესი | 6 | 2 | 0 | 4 | 5-9 | 6 |
| 15.ლას პალმასი | 6 | 0 | 2 | 3 | 2-4 | 5 |
| 16.მალიორკა | 6 | 1 | 2 | 3 | 7-10 | 5 |
| 17.სევილია | 5 | 1 | 1 | 3 | 6-8 | 4 |
| 18.სელტა | 6 | 1 | 1 | 4 | 6-10 | 4 |
| 19.გრანადა | 6 | 1 | 0 | 5 | 9-17 | 3 |
| 20.ალმერია | 6 | 0 | 2 | 4 | 7-13 | 2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ვილიარეალი ბ-ამორებიეტა ..... 3:1
ოვიედო-ვალიადოლიდი ..... 0:1
მირანდესი-ლეგანესი ..... 1:3

**იტალია. სერია ა**

ემპოლი-ინტერი ..... 0:1
ატალანტა-კალიარი ..... 2:0
უდინეზე-ფიორენტინა ..... 0:2
ბოლონია-ნაპოლი ..... 0:0
ტორინო-რომა ..... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 5 | 5 | 0 | 0 | 14-1 | 15 |
| 2.მილანი | 5 | 4 | 0 | 1 | 10-7 | 12 |
| 3.ლეჩე | 5 | 3 | 2 | 0 | 8-4 | 11 |
| 4.იუვენტუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 11-6 | 10 |
| 5.ატალანტა | 5 | 3 | 0 | 2 | 10-5 | 9 |
| 6.ფიორენტინა | 5 | 3 | 1 | 1 | 11-9 | 10 |
| 7.ფროზინონე | 5 | 2 | 2 | 1 | 8-7 | 8 |
| 8.ნაპოლი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-5 | 8 |
| 9.ტორინო | 5 | 2 | 2 | 1 | 6-5 | 8 |
| 10.ვერონა | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 7 |
| 11.სასუოლო | 5 | 2 | 0 | 3 | 9-11 | 6 |
| 12.ბოლონია | 5 | 1 | 3 | 1 | 3-4 | 6 |
| 13.რომა | 5 | 1 | 2 | 2 | 12-7 | 5 |
| 14.მონცა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 15.ჯენოა | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 16.ლაციო | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| 17.სალერნიტანა | 5 | 0 | 3 | 2 | 4-9 | 3 |
| 18.უდინეზე | 5 | 0 | 3 | 2 | 1-6 | 3 |
| 19.კალიარი | 5 | 0 | 2 | 3 | 1-6 | 2 |
| 20.ემპოლი | 5 | 0 | 0 | 5 | 0-13 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ბარი-კატანძარო ..... 2:2
პარმა-სამპდორია ..... 1:1
ჩიტადელა-კომო ..... 0:3

**საფრანგეთი. ლიგა 1**

მეცი-სტრასბური ..... 0:1
ლე ავრი-კლერმონი ..... 2:1
ლანსი-ტულუზა ..... 2:1
მონპელიე-რენი ..... 0:0
პსჟ-მარსელი ..... 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბრესტი | 6 | 4 | 1 | 1 | 8-6 | 13 |
| 2.ნიცა | 6 | 3 | 3 | 0 | 8-4 | 12 |
| 3.პსჟ | 6 | 3 | 2 | 1 | 14-6 | 11 |
| 4.მონაკო | 6 | 3 | 2 | 1 | 15-8 | 11 |
| 5.სტრასბური | 6 | 3 | 1 | 2 | 7-8 | 10 |
| 6.მარსელი | 6 | 2 | 3 | 1 | 7-8 | 9 |
| 7.ლე ავრი | 6 | 2 | 3 | 1 | 10-7 | 9 |
| 8.ნანტი | 6 | 2 | 2 | 2 | 11-11 | 8 |
| 9.ლილი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-7 | 8 |
| 10.მეცი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-10 | 8 |
| 11.რენი | 6 | 1 | 5 | 0 | 10-6 | 8 |
| 12.რეიმსი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-7 | 7 |
| 13.მონპელიე | 6 | 1 | 3 | 2 | 9-9 | 6 |
| 14.ტულუზა | 6 | 1 | 3 | 2 | 6-8 | 6 |
| 15.ლორიანი | 6 | 1 | 3 | 2 | 10-12 | 6 |
| 16.ლანსი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-12 | 4 |
| 17.ლიონი | 6 | 0 | 2 | 4 | 3-11 | 2 |
| 18.კლერმონი | 6 | 0 | 1 | 5 | 5-12 | 1 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

შავიში-ეშტორილი ..... 2:2
პორტიმონენშე-ბენფიკა ..... 1:3
ბრაგა-ბოავიშტა ..... 4:1

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

სპარტა-ვიტესი ..... 1:0
ზვოლე-ალკმაარი ..... 0:3
ვალვაიკი-ტვენტე ..... 1:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

გენკი-სტ.ტრუიდენი ..... 3:3
სერკლი-სენ ჟილუა ..... 0:2
ანდერლეხტი-ბრიუგე ..... 1:1
გენტი-ეუპენი ..... 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანკარაგიუჯიუ-ქონია ..... 1:1
ბეშიქთაში-ქაისერი ..... 2:1
ალანია-ფენერბახჩე ..... 0:1
ქაშიმფაშა-ადანა ..... 2:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ლინცერი-ჰარტბერგი ..... 0:0
ალტახი-აუსტრია ..... 2:1
რაპიდი-შტურმი ..... 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-როსი ..... 4:0
რეინჯერსი-მოზერველი ..... 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოლიმპიაკოსი-ქაშიმფაშა ..... 4:0
არისი-პანეთოლიკოსი ..... 3:0
ვოლოსი-ასტერასი ..... 1:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ივერდონი-ბაზელი ..... 3:2
ლუცერნი-სერვეტი ..... 2:0
იანგ ბოიზი-ლუგანო ..... 4:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

პლზენი-პარდუბიცე ..... 6:2
ჰადეც კრალოვე-იაბლონეცი ..... 1:0
სლავია-სპარტა ..... 1:1

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

ზაგლებიე-ვარტა ..... 1:0
რუხი-ჩენსტოხოვა ..... 3:5
ლეგია-გურნიკი ..... 2:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ზორია-დნიპრო ..... 0:1
მეტალისტი 1925-კოლოსი ..... 0:0

**დანია. სუპერლიგა**

ბრონდბიუ-კოპენჰაგენი ..... 2:3
სილკებორგი-ვიბორგი ..... 2:0
რანდერსი-ორხუსი ..... 1:1
მიდტიულანდი-ოდენსე ..... 2:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-დიურგარდენი ..... 2:0
მიალბი-გიოტებორგი ..... 0:1
ვარბერგი-ჰამარბი ..... 0:1
კალმარი-ჰაკენი ..... 1:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბოდო-ვოლერენგა ..... 4:2
ვიკინგი-სანდერფიორდი ..... 4:3
ლილესტრიომი-რუსენბორგი ..... 3:0
ოდი-ჰაუგესუნდი ..... 1:1
სტრომგოდსეტი-მიოლდე ..... 1:1
ჰამ კამი-სარპსბორგი ..... 1:1
ბრანი-ტრომსო ..... 2:1

## სხვაობა უცვლელია



ეროვნული ლიგის 26-ე ტური დასრულდა. ბოლო დღეს გამოსარჩევი დინამოების დერბი იყო. იყო სხვა მნიშვნელოვანი ფაქტებიც...

**დინამო (ბთ)-დინამო (თბ) 2:2**

**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

1:0 მამუჩაშვილი (4), 1:1 კადეტე (37), 1:2 ხარაიშვილი (52), 2:2 ლუდუშაური (73)

67-ე წუთზე მამუჩაშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**დინამო ბთ:** კვასხვაძე, მამუჩაშვილი, კობახიძე, რეხვიაშვილი, ხარაბაძე, ზარია (ტეიდი 78), მოსიაშვილი (ჩაბრაძე 86), ლუდუშაური, ბიძინაშვილი (ც.ფაცაცია 62), წიტაიშვილი (ვაწაძე 62), ფლამარიონი

**დინამო თბ:** ლორია, მაისურაძე, ხვადაგიანი, კალანდაძე, კადეტე, მექვაბიშვილი (ოსიყმაშვილი 73), ოსეი, ხარაიშვილი, ბუშნია (ოდიშარია 62), კამარა, სხირტლაძე (მარუშიჩი 85)

ლიდერებისა და დინამოების დაპირისპირებაში ოთხი გოლი გავიდა: ფრე – 2:2. შედეგად, სხვაობა არ შეცვლილა.

ზღვისპირელები ჯერ იგებდნენ, მერე – აგებდნენ. ბოლოს კი გუნდებმა თითო ქულა წაიღეს.

სწრაფი გოლი ვნახეთ. პაატა ლუდუშაურის პასს ვლადიმერ მამუჩაშვილის ზუსტი დარტყმა მოჰყვა. მამუჩაშვილმა მე-11 გოლი შეაგდო. მეტიც შეეძლო, მაგრამ პენალტი გააცუდა...

მანამდე კი, დედაქალაქელთა ესპანელმა მცველმა ენრიკე კადეტემ დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერი გასროლით მშვენიერი გოლი გაიტანა. კადეტეს ეროვნულ ლიგაში დებიუტი ჰქონდა და გოლით აღნიშნა.

52-ე წუთზე თბილისელები სულაც წინ გავიდნენ: ოსეი ბარნსმა მეტოქეს ბურთი ცენტრში წაართვა, რასაც დავით სხირტლაძის დაფარული პასი და გიორგი ხარაიშვილის გოლი მოჰყვა – 1:2.

მერე იყო ლუდუშაურის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი, რომელიც მამუჩაშვილმა დაარტყა და გიორგი ლორიამ მოიგერია. მისგან ასხლეტით წასული ბურთი ხარიხას მოხვდა, დამატებაზე ჟოვინო ფლამარიონმა გატანა თავით სცადა და ისევ ლორიამ აუღო.

ბათუმელებმა მაინც გაიტანეს: 73-ე წუთი, ცოტნე ფაცაციას პასი და პაატა ლუდუშაურის დაბალ კუთხეში დარტყმა – 2:2.

**საბურთალო-თელავი 0:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

0:1 რუხაძე (34პ)

**საბურთალო:** კუპატაძე, ც.კაპანაძე, ჩადუნელი, ჯგერენაია, ჯინჯოლავა (ქვარცხავა 90), კომახიძე (სილაგაძე 64), ქარდავა, ო.მამაგეიშვილი (ი.ტაბატაძე 77). გ.მამაგეიშვილი (ციცქიშვილი 64), ლ.ნონიკაშვილი, ჩამბა (სიხარულიძე 46)

**თელავი:** იურჩენკო, რომი, გუტი, ვ.ფაცაცია, გაბიტაშვილი, ქანთარია, ბეგიჩი (გოშთელიანი 80), პროტასოვი (მორჩილაძე 56), ჟეფინიო (მ.ბაშელეიშვილი 75), რუხაძე (ო.გაგნიძე 75), დეზირე (აშორტია 80)

თელაველებმა ბოლო შვიდი მატჩიდან ხუთი მოიგეს და მეშვიდე ადგილზე არიან. საბურთალოს პირიქით, ცუდი სერია აქვს და ბოლო ხუთი მატჩიდან სამი წააგო.

ერთადერთი გოლი 34-ე წუთზე ირაკლი რუხაძემ გაიტანა პენალტით.

საბურთალო მესამე პოზიციაზე დარჩა, მაგრამ უკვე 11 ქულით ჩამორჩა ლიდერ დინამო ბათუმს. ამასთან, კონკურენტებიც მიუახლოვდნენ. ახლა ბრძოლა სამეულში შესასვლელადაც მოუწევთ.

**დილა-სამგურალი 2:0**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0 სილვა (38), 2:0 სარდალიშვილი (47)

**დილა:** კუჩერენკო, ჩიტეიშვილი, ზ.თევზაძე, ძოწენიძე, სილვა, ნ.გაგნიძე, სანტოსი, სარდალიშვილი (ანდრონიკაშვილი 64), გომისი (მზვაკალი 88), გაფრინდაშვილი (ჩაგანავა 67), კოვტალიუკი (ს.კუხიანიძე 88)

**სამგურალი:** შოვნაძე, კიკაბიძე, პატარკაციშვილი, მარკოვინა, ბული (კალანდარიშვილი 38), არტური, სულაქველიძე (დარცმელია 69), ლიმა (ჩიხლაძე 55), კაგაიამა, გომესი (ნ.ხორხელი 55), იკპე (ბალანიუკი 55)

გორელებმა ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტეს და მეოთხე ადგილზე გადავიდნენ.

ტაიმის ბოლოს ბრაზილიელმა მარცხენა მცველმა ვანდერსონმა უძლიერესი დარტყმით გაიტანა; მეორე ნახევრის დასაწყისში კი, მიშიკო სარდალიშვილმა მეკარის მოგერიებულ ბურთს თავით დაამატა – 2:0.

სარდალიშვილისთვის ეს მეცხრე გოლია სეზონში, აქედან ექვსი შუქურაში მიითვალა.

დილამ კი ცხრილში სამგურალს ორი ქულით გაუსწრო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 26 | 16 | 8 | 2 | 58-28 | 56 |
| 2.დინამო (თბ) | 26 | 14 | 7 | 5 | 66-38 | 49 |
| 3.საბურთალო | 26 | 13 | 6 | 7 | 53-29 | 45 |
| 4.დილა | 26 | 12 | 8 | 6 | 42-28 | 44 |
| 5.სამგურალი | 26 | 12 | 6 | 8 | 36-36 | 42 |
| 6.ტორპედო | 26 | 10 | 9 | 7 | 30-28 | 39 |
| 7.თელავი | 26 | 7 | 6 | 13 | 23-42 | 27 |
| 8.სამტრედია | 26 | 6 | 4 | 16 | 27-45 | 22 |
| 9.გაგრა | 26 | 4 | 7 | 15 | 23-52 | 19 |
| 10.შუქურა | 26 | 3 | 5 | 18 | 33-65 | 8 |

შენიშვნა: შუქურას დაკლებული აქვს 6 ქულა

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## სამგლოვიარო განცხადებები



### ბექა!

დაბადების დღეს გილოცავ, შვილო! უკვე მერამდენედ ხვდები ამ თარიღს ცათა სასუფეველში, ჩემო სიცოცხლევ! ყველაფრით გამორჩეული, მართლაც გამორჩეულად უდროოდ წახვედი ამქვეყნიდან. იმიტომაც ცხოვრობდი ალბათ სისხლსავსე ცხოვრებით. ყველაფერი გინდოდა მოგესწრო. ახლა უკვე ზრდასრული, დალვინებული მამაკაცი ხარ – 50 წელი შეგისრულდა.

შენმა უდროოდ წასვლამ ამ ქვეყნიდან უიმედო, ცრემლიანი გახადა ჩემი ყოფა. შენით ვცოცხლობდი, შენ – ერთადერთს შემოგხაროდი. შენ შემდეგ ჩემთვის ალარაფერი არსებობს. სამყარო დაცარიელდა...

ერთი წუთით არ მშორდება შენზე ფიქრი. მუდამ ჩემთან ხარ, გულში გიკრავ, გეფერები, ჩემო ნებიერა, კოპწია ბიჭო!

**დედა**

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ, რომ გარდაიცვალა ჩაის, მძიმე სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ქ. სოხუმის ფილიალის ყოფილი დირექტორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### კუჭუჭი ჯალაღონია

სამძიმარს ვუცხადებთ ქალბატონ ლეილა შამათავასა და მის შვილებს.

უფალს ვთხოვთ, არ მოაკლოს ღვთიური მადლი და ნათელი სასუფეველი შენს ლამაზ სულს!

*შენი გარდაცვალებით დამწუხრებული ფილიალის ყოფილი თანამშრომლები*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ





**შვეულად:** 1. დაუკოდავი მამალი ცხვარი; 2. საყანედ გაკაფული ტყის ნაწილი; 3. სამლებრო ძველ თბილისში; 4. პატარა ღელე; 5. ქართველი ფრენბურთელი მამაკაცი, ოლიმპიური ჩემპიონი; 6. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 7. ბარსელონის ძველი დედაქალაქი; 10. რძის პროდუქტი; 11. ჩქარტემპიანი ესპანური ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 12. სტადიონი რიო-დე-ჟანეიროში; 13. ცხვრის ხორცისგან მომზადებული აზერბაიჯანული წვნიანი კერძი; 16. მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 18. შტატი აშშ-ში; 19. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 21. რეგულარული შემოსავალი უძრავი ქონებიდან; 24. საცხოვრებელი კომპლექსი თბილისში.

**თარაზულად:** 1. უძველესი ხალხური სანახაობითი თამაში-წარმოდგენა ძველად საქართველოში; 3. აზიის ტროპიკებში ბინადარი ნახევარმაიმუნი; 8. პორტუგალიური ღვინო; 9. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 14. კუთხე საქართველოში; 15. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული ფისიანი ქვანახშირი; 17. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 22. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 23. საფრანგეთში ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ათდღიანი კვირა; 25. კედელზე საკიდი ელექტრონათურა; 26. იტალიელი მოდელიერი; 27. „აბესალომ და ეთერის" პერსონაჟი; 28. მთავარი მოედანი მუსლიმური ქვეყნების ქალაქებში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მსჯავრი; 2. მაზაჩო; 3. კოსეკანსი; 4. ტონიკი;. 5. შიმპანზე; 7. რიყე; 11. იროკეზი; 13. პუბკოვო; 15. ბეუყი; 16. სოტბი; 18. ქაოსი; 19. ძეგლი.

**თარაზულად:** 6. საირმე; 8. შამგონა; 9. ვანდომი; 10. ვენეცია; 12. ვოლგა; 14. მირონი; 17. სალუქვაძე; 20. ოცელოტი; 21. უკმური; 22. სტელსი; 23. რიგოლეტო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დევი; 2. ექო; 3. კოტირება; 4. ჭა; 5. ჩუქურთმა; 6. ლელო; 7. სილნალი; 10. ლოტი; 11. მუხამბაზი; 12. ფოტოლიზი; 13. კერი; 16. უჯარმა; 18. სიცილია; 19. ღვინიო; 21. ლელვი; 24. ზებრა.

**თარაზულად:** 1. დუმბაძე; 3. კაჭიჭი; 8. ბუშელი; 9. ვალი; 14. სტუკო; 15. თეატრი; 17. ტირე; 20. ბემოლი; 22. მლილი; 23. ვალიზა; 25. უხა; 26. რახი; 27. აიდა; 28. ბრაზავილი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

26 სექტემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6681

ევრო — 2.8381

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2647

100 რუსული რუბლი — 2.7748

## ამინდის პროგნოზი 26 სექტემბრისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიეგო სიმეონე: „რეალთან გამარჯვება დავიმსახურეთ“



მადრიდის ატლეტიკომ დერბიში საკუთარ მოედანზე თანაქალაქელები – რეალი მიიღო და დაამარცხა 3:1. ატლეტიკომ თითქმის იდეალური შეხვედრა ჩაატარა და მატჩის შემდეგ დიეგო სიმეონემ თქვა, რომ ის კმაყოფილია თავისი გუნდით და ატლეტიკოს შეუძლია წელს ტიტულების მოგება:

– დღეს ძალიან ძლიერი გუნდი დავამარცხეთ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თითქმის არ გვქონია შეცდომები. მინდა, რომ ასე გავაგრძელოთ და ჩვენი დამარცხება რთული იქნება.

## ლევანდოვსკი: „კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ვფიქრობ“



ბარსელონას პოლონელმა ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ თქვა, რომ მიუხედავად სოლიდური საფეხბურთო ასაკისა, ის ჯერჯერობით კარიერის დასრულებაზე არც ფიქრობს:

– ჯერჯერობით საერთოდ არ ვფიქრობ იმაზე, რომ შეიძლება კარიერა დავასრულო, რადგან ვიცი, რომ შემიძლია მაღალ დონეზე თამაში. წლევანდელი სეზონი კარგად დავიწყე და შევეცდები, რომ სტაბილური ვიყო.

## ფრენკი დე იონგი, სავარაუდოდ, ერთ თვეს გამოტოვებს



ბარსელონას ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ფრენკი დე იონგმა სელტასთან მატჩში ტრავმა მიიღო და ამის გამო მან მოედანი უკვე პირველ ტაიმში დატოვა.

ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის დაბრუნდება დე იონგი მოედანზე, თუმცა პირველი ინფორმაციის მიხედვით, ის დაახლოებით ერთი თვე იუქმებს. ხავიმ თქვა, რომ დე იონგი, სავარაუდოდ, მოედანზე ოქტომბრის ბოლოს დაბრუნდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## გია ჯაჯანიძე: „არ არის ტრაგედია, თუ ხარ გოიმი“



ასე მიაჩნია ფსიქოლოგსა და ტელეწამყვან გია ჯაჯანიძეს:

– დამიჯერეთ, არ არის ტრაგედია, თუ ხარ გოიმი. მთავარია, კარგად დამალო შენი სიგოიმე, თუ დააკვირდები, ამას საუცხოოდ თავსართმევენ მავანნი.

აუცილებელია, როგორმე უნდა ისწავლო მშვიდი, დახვეწილი საუბარი, თან შიგა და შიგ გამოურიო უცხო ტერმინები. რაც უფრო ბევრ უცხო სიტყვას იტყვი, მით უფრო დამალავ სიგოიმეს, მთავარია, კარგად გამოთქვა, არაუშავს, თუ ზუსტად არ იცი მნიშვნელობა.

აუცილებელია გეცვას ბრენდი, თუნდაც ჩუმად ნაყიდი მეორადებში, თან ხაზგასმით არა, ისე, ვითომც არაფერი, უნდა ჩამოთვალო ბრენდები, მაგალითად, ეს გუჩის სათვალეა, ეს „შანელის“ პერანგი, ეს „ვერსაჩეს“ შარვალი, ეს „დოლჩეს“ კაბა – მე რაც ვიცოდი, ის დავწერე.

და მთავარი, კარგად და ბოლომდე რომ დამალო სინამდვილე, ხშირად და გაოცებულმა სხვაზე უნდა იძახო – „დედა, რა გოიმიაააა“ – გაწელილი თქმა უხდება.

## მურმან ჯინორია და ოთარ მაღრაძე ერთობლივ საღამოს გამართავენ



მსახიობი მურმან ჯინორია და ჯაზმენი ოთარ მაღრაძე ერთობლივ საღამოს გამართავენ.

28 სექტემბერს მუზეუმ-სასტუმრო „თბილისში“ თეატრისა და მუსიკის გამორჩეული წარმომადგენლები დამსწრე საზოგადოების წინაშე სპეციალური საკონცერტო პროგრამით წარდგებიან.

## პეტრე კოლხი: „ასწავლეთ შვილებს, რომ ყველა დაპურებული არ არის“



პოეტი პეტრე კოლხი – მამა პეტრე (კვარაცხელია) საზოგადოებას სთხოვს, შვილებს ცხოვრებისეული მნიშვნელოვანი ღირებულებები ასწავლონ:

– ასწავლეთ შვილებს, რომ ყველა დაპურებული არ არის.

ასწავლეთ, რომ ყველას არ გააჩნია თავშესაფარი, რომ ყველა არ სწავლობს კერძო სკოლაში, რომ ყველა ვერ ყიდულობს „ბიგ მაკს“, ან „ჩიზ ქეიქს“.

ასწავლეთ, რომ ბევრი იმიტომ ვერ დადის სკოლაში, ფეხსაცმელი გაუცვდა.

ასწავლეთ, რომ ქალაქში ცხოვრება არ არის უპირატესობა, ასწავლეთ, რომ სოფელში ყოფნა არ ნიშნავს პროვინციალიზმს.

ასწავლეთ შვილებს, რომ სხვების ჩაგვრა სიძლიერე არა, სისუსტის ბრალია, რომ დაცინვა კომპლექსია და არა უპირატესობის ნიშანი.

ასწავლეთ, რომ სიყვარული ყველაზე დიდი განძია, რაც ღმერთს ადამიანისათვის უბოძებია.

ასწავლეთ, რომ ერთგულება რჩეულთა ხვედრია.

ასწავლეთ ვაჟებს, რომ ხშირად აჩუქონ გოგონებს ყვავილები, თუნდაც მინდვრის.

ასწავლეთ გოგონებს, რაც უფრო მიუწვდომელი იქნებიან, ბიჭები უფრო დააფასებენ.

ასწავლეთ შვილებს, რომ ტაძრების მშენებლობაში მონაწილეობის მიღება მარტო არ არის სულიერება, მთავარი მცნებების დაცვაა.

ასწავლეთ, რომ ლუკმა მშიერს გაუყონ და არასდროს იტრაბახონ „ადიდასის“ ქურთუკით, თუ სხვას სცივა.

ასწავლეთ, რომ ამპარტავანი ადამიანი ღვთისთვის მიუღებელია.

ასწავლეთ შვილებს, რომ მათი დანიშნულება მხოლოდ სიკეთის კეთებაა.

ასწავლეთ, რომ ნებისმიერ გამვლელს მიესალმონ და გაუღიმონ.

ასწავლეთ, რომ უპატრონო საფლავებს მოუარონ.

ასწავლეთ, რომ შუქნიშანთან მდგარი მოხუცი, გზის მეორე მხარეს გადააცილონ.

ასწავლეთ, რომ სხვების წარმატება უხაროდეთ, რომ მეგობრები ფულის, მშობლების გავლენის მიხედვით არ შეარჩიონ, რომ არავინ სძულდეთ.

ასწავლეთ... მაგრამ ჯერ თავად ისწავლეთ!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## რუსკა ქარქაშაძე დედა გახდება



მსახიობი და ტელეწამყვანი რუსკა ქარქაშაძე დედა გახდება. ის და მისი რჩეული ლაშა მოწონელიძე პირველ შვილს ელოდებიან.

სასიამოვნო ამბავი წყვილმა ინტერნეტში ვიდეოს საშუალებით გაავრცელა. წყვილი პარიზში ეიფელის კოშკთან იმყოფება, სადაც ამ სასიხარულო სიახლეს ყველა კეთილისმსურველს უზიარებენ.

## ნუცა ქირია იმედის თანამშრომელია



მომღერალმა ნუცა ქირიამ საესტრადო სცენიდან ტელევიზიის პირდაპირ ეთერში გადაინაცვლა და ტელეკომპანია „იმედის“ დილის გადაცემის წამყვანი გახდა.

მომღერალ აჩიკო ნიჟარაძის მეუღლისთვის ტელევიზია უცხო არ არის, იგი სხვადასხვა ტელეკომპანიების სხვადასხვა გადაცემების ხშირი სტუმარია, თუმცა როგორც ტელეწამყვანი, პირდაპირ ეთერში პირველად იმუშავებს. ნუცა ქირია იმედის მაყურებელს დილის ეთერიდან უქმეებზე მიესალმება.

## ირაკლი რუსაძე პარიზის მოდის კვირეულზე უახლეს კოლექციას წარადგენს



ქართველი დიზაინერი ირაკლი რუსაძე პარიზის მოდის კვირეულზე მის მიერ შექმნილ უახლეს კოლექციას წარადგენს.

29 სექტემბერს საფრანგეთის დედაქალაქში ქართველი დიზაინერი მოდის მოყვარულებისთვის საკუთარ ნამუშევრებს ვიქტორია ბექჰემის კოლექციის ჩვენების შემდეგ წარადგენს.

პარიზის მოდის კვირეულში მსოფლიოს ცნობილი დიზაინერები მონაწილეობენ, სადაც 2024 წლის გაზაფხული-ზაფხულის უახლეს კოლექციებს წარადგენენ.

## ლევან წულაძე მარჯანიშვილის თეატრიდან მიდის



რეჟისორმა ლევან წულაძემ გადაწყვიტა, მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა დატოვოს. მიზეზი მის მიერ ახალი თეატრის „თეატრი სახელოსნო 42“-ის გახსნაა:

– თეატრის შენება 10 თვის წინ დავიწყეთ და რამდენიმე პირველი პრემიერაც ვითამაშეთ. გადავწყვიტე, როგორც კი გავხსნიდით თეატრს, სამინისტროში მივსულიყავი და განცხადება დამეწერა... ტყუილს არ ვიტყვი, ეს ჩემთვის არავის უთქვამს. მინისტრმაც და სხვებმაც მითხრეს, ორგანვე იყავიო, მაგრამ ვერ შევძლებ.

## დუეტი „ჯორჯია“ 15 წლისაა



მაკა ზამბახიძისა და რატი დურგლიშვილის დუეტი „ჯორჯია“ იუბილარია. მისი დაარსებიდან 15 წელი გავიდა.

მაკა ზამბახიძე:

– ჩვენ უკვე 15 წლის ვართ – დუეტი ჯორჯია. ბევრი საინტერესო ეტაპი გავიარეთ ცხოვრებაში. გამარჯვება, დაუვიწყარი ემოციები, ბევრი ადამიანისთვის ბედნიერებას, ღიმილს და პოზიტივს ვქმნით და ეს ძალიან გვაბედნიერებს. არტისტისთვის ბედნიერებაა, მისი სიმღერები რომ უყვართ და სიყვარულით მღერიან. მოკლედ, დუეტ „ჯორჯიას“ ერთი გრანდიოზული კონცერტი ჩასატარებელი აქვს, ხომ მეთანხმებით?

## პაატა ბურჭულაძემ თბილისის კონსერვატორიასთან კონტრაქტი განაახლა



ოპერის მომღერალმა პაატა ბურჭულაძემ თბილისის კონსერვატორიასთან კონტრაქტი განაახლა და მომავალი თაობების აღზრდაზე იზრუნებს:

– განვაახლე კონტრაქტი თბილისის კონსერვატორიასთან. მსოფლიოს არაერთ კონსერვატორიასთან მითანამშრომლია, მიმიცია მასტერკლასები და მერწმუნეთ, რომ იშვიათია ისეთი ორგანიზებული და ხარისხიანი სწავლება, როგორიც ჩვენთან. ეს სისტემა ჯერ კიდევ წლების წინ ჩამოაყალიბა ჩვენმა სახელოვანმა მანანა დოიჯაშვილმა, რასაც დიდი წარმატებით განაგრძობს დღევანდელი რექტორი, ქალბატონი ნანა შარიქაძე. მან მოიწვია ყველაზე მაღალი დონის პროფესორ-მასწავლებლები, რაც შეშურდება მსოფლიოს ნებისმიერ მუსიკალურ სასწავლებელს. კონსერვატორიაში რომ შევედი და შევხვდი მათ, კიდევ ერთხელ დამეუფლა სიამაყის გრძნობა. ზუსტად ამის შედეგია, რომ ახალი თაობის მუსიკოსები მთელს მსოფლიოში გვასახელებენ.

მინდა ქალბატონ ნანას წარმატება ვუსურვო! ბოლო მოვლენებიდან გამომდინარე, თუ მას შეეხება რეპრესიები, ჩვენ ყველა უნდა გავერთიანდეთ, რომ არ დავუშვათ კონსერვატორიის მოქცევა ცენზურის ქვეშ.

დიდი ალბათობით, კულტურის სამინისტროს უკვე გამზადებული ჰყავს კადრი რექტორად დასანიშნად. თუ ეს ასეა, მე მას ძალიან ვუსამძიმრებ, რადგან ასეთი ნდობა მხოლოდ მმართველი პარტიისადმი ტრფობით მიიღწევა, რაც სამარცხვინოა. მინდა ვურჩიო და მოვუწოდო კულტურის სამინისტროს, არ ჩაერიოს რექტორის არჩევნებში!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. პროტესტის გამოხატვის დიპლომატიური მეთოდი; 2. ქალაქი შვეიცარიაში, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია; 3. შოტლანდიის დედაქალაქი; 4. ქვევრის ღვინოში არსებული მრთიმლავი ნივთიერება. 5. რუსეთში მოასპარეზე საქართველოს ნაკრების კალათბურთელი; 7. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 11. ძველბერძენი ფილოსოფოსი, ორატორი; 13. ზიარებისთვის განკუთვნილი თასი ეკლესიაში; 15. ფულის ერთეული პოლონეთში; 16. წვრილი, უკურკო ქიშმიში; 18. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 19. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. ნიადაგის ნგრევა, ჩამოშლა; 8. იუმორისტული დრამატული წარმოდგენა; 9. ინგლისის პრემიერ-მინისტრი; 10. პორტუგალიის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი; 12. ქართული საქველმოქმედო ფონდი; 14. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 17. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის ნაწილი; 20. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება; 21. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 22. ქრისტიანთა წმინდა წიგნი; 23. ანსამბლ „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**